

ქვეყნის გზები



საქართველოს
შენიშნული
კავშირის
გაზეთი
№6 (302)

1 სექტემბერი -
1 ოქტომბერი 2023

ფასი 150 ლარი

გაეროს
თემატიკა



რევან მიშველაძე

ლევან სანიკიძე

მე და ლევან სანიკიძე განუყრელი მეგობრები ვიყავით.

ქუთაისის უნივერსიტეტის იუბილევზეც, რა თქმა უნდა, ერთად ჩავედით. საზეიმო საღამოს შემდეგ, ბანკეტზე, რექტორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ერთად გვადღეობდა და, სხვათა შორის, ბრძანა: „მიხარია და მემამაყება, რომ ჩვენი მასწავლებლები ლევან სანიკიძე და რევან მიშველაძე თბილისშიც ერთად არიან და, როგორც ილია და აკაკი, ერთად ემსახურებიან საქვეყნო საქმეს“.

ამ ხუმრობაზე მე გამეცინა, ლევანს - არა.

ლამეა. საკმაოდ მეტად შეზარხოშებულებს ქუთაისის სასტუმროში გვძინავს.

- ბიჯო!
- ძილბურანში ჩამესმა.
- რა იყო?
- ხო ხედავ, ავთომ, როგორც ილია და აკაკიო.
- რამ დაგამახსოვრა, იხუმრა ქუთაისურად, დაიძინე, დაიძინე.
- ისე... ჩემთვის ვფიქრობდი ახლა. რავარი კაი პოეტია აკაკი, რომ იცოდე. აშკარა ილიაობა უნდა.
- ჰოდა, ილიაობა თუ გინდა, ტყვიასაც უნდა ელოდო შუბლში.
- ნუ იცი შენ, უშნო ხუმრობა.
- დაიძინე, დაიძინე.
- რიბირაბოა, ოხრავს.
- ცალი თვალთ გაგვხედე.
- ისე, რომ იცოდე... ტყვია აუცილებელი არ არის.

შოთა ნიჟინიანი

მოსკოვში ვართ მწერალთა ყრილობაზე.

მე და შოთას სასტუმრო „რასიაში“ ერთ ნომერში გვძინავს.

- რეზო!
- ბატონო.
- არ ავდგეთ?
- კედლის საათს შევხედე, რვის ნახევარია.

- რა გვეჩქარება, სხდომა ხომ თერთმეტზე იწყება.

- ადექი, ადექი, ქვევით უნდა ჩავედეთ, პატარა საქმე მაქვს.

ავდექით, მოვწესრიგდით, ჩავლიფტდით.

ფართო ტროტუარზე ჩვენზე ადრე

მოყვანილი ასობით ლექსი დამინერა და გამომინწოდა:

„მიყვარს შენი ნოველები, მალე მოგვენობლები, ახლა ნერვებს ნუ ამიშლი და არყის სმას ნუ დამიშლი“.

წავიკითხე და ვიგრძენი, რომ ჩვე-

სალა ხართ, ბიჭებო?! (ვისთანაც ერთ ოთახში ღამე გაგიტავია)

ამდგარი მოქალაქენი მტრედებს უმა-სპინძლებიან.

მარჯვნივ, ცოტა მოშორებით ყვავები მიმოდინან.

ჩვენ ყვავებთან მივედით.

შოთამ პიჯაკის ჯიბიდან ქალაქის პარკი ამოიღო და პურს წვრილად ფრჩხვნის.

ყვავები ჩვენსკენ გამოიქცნენ.

აქეთ, ყვავებთან მარტო ჩვენა ვართ, შოთა და მე.

- ხომ ხედავ, რეზო, მტრედებს რამდენი პატრონი ჰყავს. ყვავებმა რა დააშავეს?!

აი, თურმე წუხელის ვახშობის შემდეგ რისთვის ილაგებდა მორჩენილ პურის ნაჭრებს ჯიბეში.

ზაურ ბოლქვაძე

ბათუმში ვართ, ფრიდონ ხალვაშის იუბილევზე.

„აკლიმატიზაციის მიზნით“ ერთი დღით ადრე ჩამოვედით.

სასტუმრო „ინტურისტის“ ფანჯრებს მზე მოადგა.

ზაურს გაგვხედე, მშვიდად სძინავს. წუხელის, აქრომშემოვებით, გრილოდა.

აქაც „მაჯობა“, მე ფანჯარასთან „დამითმო ადგილი“, თვითონ კედელთან, ჩრდილიანი მხარე აურჩევია.

ტელეფონი წკრიალებს.

ყურმილი ავიღე და სანამ რამეს მეტყოდნენ, დავასწარი:

- ახლავე!

ძახილით რომ ვერ გავალვდი, ავდექი და შევანჯღრიე.

- გისმენ, ლომო!

- ხაშზე გვეპატიყვებიან.

- ვინ გვეპატიყვება?

წამოფდა.

- მთელი ბათუმი.

ქვემოთ, მოსაცდელში მართლა გველოდებოდნენ შოთა ზოიძე და ზურაბ გორგილაძე.

ხაში იქვე იყო, პირველ სართულზე, ფლიგელში.

სანამ ხაშს მოგვიტანდნენ, ზაურმა „სალფეთქე“ თავისებური, დიდი, გა-

ნი საყვარელი რძლის, ნანას თხოვნას: თქვენი ჭირი, არაყს ნუ დააღვე-ინებთო, საშიშროება დაემუქრა.

მეცამეტე სადღეგრძელოზე (ბოლო სამი სადღეგრძელო ზეზუ-ლადა ვთქვით) „ორგანიზატორები“ შემოცვივდნენ და ლამის ძალისმიერი მეთოდებით გაგვიყვანეს.

იუბილევზე ერთი საათით დავიგვიანეთ, მეტი არა.

ზვიად გამსახურდია

მესხეთ-ჯავახეთს ვსტუმრობთ ახალგაზრდა მწერლები: ზურაბ ჩხენკელი, ზაურ ბოლქვაძე, ზვიად გამსახურდია, რევან მიშველაძე და ტაგუ მებურიშვილი.

კარგა ხუთი ათეული წლის ამბავია, თუ მეტის არა.

ვსტუმრობთ დაბებს, ქალაქებს... ვხვდებით მკითხველებს... ზოგჯერ შეხვედრებს ღია ცის ქვეშ ვატარებთ; მწყემსებთან, მევენახეებთან...

ვკითხულობთ ლექსებს, ნოველებს, თარგმანებს, ვსაუბრობთ საქართველოს ისტორიაზე, კონკრეტულად იმაზე, რა წვითა და დაგვიტ შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნულობა.

ყველგან პატივისცემით, სიყვარულით გვხვდებით.

ასპინძაში მორიგი შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა.

სცენიდან თითქმის არ გვიშვებდნენ. ზოგს ცოცხალი მწერალი არც ენახა.

განსაკუთრებით ზვიადის გამოსვლის ის ადგილი მოენონათ, როცა დიდი კონსტანტინეს ღირსეულმა შემკვიდრემ თქვა: თქვენ რუსთაველის სამშობლოება გავალვებო, განსაკუთრებით იბრძოლოთ საქართველოს გადარჩენისთვისო.

სალამოს ბანკეტზე, როცა თამადამ რაიკომის მდივნის სადღეგრძელო დალია და ზვიადთან გადავიდა ალავერდს, ზვიადი წამოფდა.

- რა უნდა გითხრათ, არ ჩანხართ ცუდი კაცი, მაგრამ არ მინდა გითხრათ და... არ მინდა გითხრათ, მაგრამ...

თითქოს ენა დაეზოო ზვიადს.

- მითხარით, მითხარით, ძალიან გთხოვთ, - რაიკომის მდივანი განითლდა.

- მე, მაგალითად, თქვენს ადგილზე შემრცხვებოდა რაიკომის მდივნობის.

- რატომ, ზვიად, რატომ? დაგიშავეთ რამე?

ილიმებოდა რაიკომის მდივანი.

- მეტი რა უნდა დამიშავოთ, საქართველოს უშავებთ, ამხანაგო მდივანო! რუსის სამსახურში ხართ!

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. წახდა სუფრა.

თამადამ სიტუაციის გამოსწორება სცადა, მაგრამ ამაოდ.

- დარჩები თუ წამოხვალ? - ზვიადმა მიჩურჩულა, რაკილა სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით.

დილით რომ გამეღვიძა, ჩაცმულ-დახურული ფანჯარასთან იდგა.

- გუშინ ცუდად მოვიქეცი? - მკითხა.

- არა, მაგრამ, მე ვფიქრობ, არ უნდა გეთქვა, რაც უნდა იყო, ჩვენ სტუმრები ვიყავით.

- რეზო, - ხმაში კატეგორიულობის სიმი გაუკრთა, - საქართველოში ან სტუმარია ყველა და ან მასპინძელი.

სხვა კატეგორია არ არსებობს. მაგ თეორიით უნდა გავჩუმდეთ და დავანებოთ თავი ჩვენს ბრძოლას!

ხმა აღარ გამიცია.

მართალი იყო.

როცა ვნებები შიშვლდება, ტაქტზე და რევერანსებზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანმა გურჯაანში თავის შეხვედრაზე წამიყვანა.

მაშინ მწერალთა კავშირის მდივანი იყო.

კულტურის სასახლე ჯანსუღის პოეზიის მოყვარულებს ვერ იტევდა.

გურჯაანის ხელმძღვანელმა შოთა ეცადაშვილმა შეხვედრა ვრცელი სიტყვით გახსნა და ტრიბუნასთან მიხმო.

ჯერ ჯანსუღის შემოქმედება მიმოვიხილე, ბოლოს სტუმრისადმი ჩემი ღრმა პატივისცემის დასტურად, თუ ნებას მომცემთ, ჯანსუღის ერთ ლექსს წავიკითხავ-მეთქი და ლექსი ზეპირად ვთქვი:

მე ვიცი, ძმაო, რალაცა გიჭირს, რალაც განუხებს, რალაც გადარდებს,

ჭაობისფერი გამხდარი იჭვი, როგორც მთქნარება, ისე გადამდე.

თუკი ისევ იმ ბოროტზე ფიქრობ, მოეშვი, ნადი და მოიძულე.

იგი საკუთარ სიცოცხლეს იქრობს, იგი საკუთარ სულს იბიძმურებს.

არა და ჭიდან წყალს იღებ ვარცლით, გახარებული გიცქერს ლაქია, ჩვენ სიყვარულის წვიმები გვანვიმს, ჩვენი ფიქრები ცაში დაქრიან; ქალაქში ერთი ბოროტი კაციც თუკი არ დადის, რა ქალაქია.

დარბაზი ჯერ გაირინდა. მერე უეცრად ტაშის ნიაღვარი მოსკდა.

იმ ღამით ერთ ოთახში გვეძინა. დიდხანს იჯდა სანოლზე და მეუბნებოდა: არ ვიციო, რა უნდა გითხრაო, აქ მადლობის სიტყვა სრულიად ზედმეტი იყო. ან ზეპირად როგორ დაგამახსოვრდაო ეს ლექსი. ზოგჯერ რომ გამოდიან, ისეთ ლექსს ჩასჭიდებენ ხელს, მე თვითონაც რომ აღარ მომნონს ახლა და მინდა მივაჩუმათო სადმე, წიგნებს შორისო.

დილით შოთა ეცადაშვილმა, საუზმეზე ნახევრადხუმრობით შემოგვჩვილა: ეს ოხერი, მესხიერება მლაღატობს, თბილისში ვიყავი და მესხიერების წამალი გამომინერესო.

ჯანსუღმა იქვე დაუნერა ექსპრომტი: შოთა ეცადაშვილს

მესხიერების წამალს ვსვამ, უხერხულობას განვიცდი, რომ დამავინწყდა, ვიცი, რა დამავინწყდა, არ ვიცი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ბურამ ფანჯიკიძე

გურამი მირეკავს: - როგორაა შენი ანტილოპა? მაშინ ძველთაძველი „ზაპოროჟე-ცი“ მქონდა.

- თუხთუხებს ბებრულად.
- რაჭამდე გაქაჩავს?
- რატომ იმის იქით არა.
- აბა, გამომიარე ხვალ დილით.

რაჭის აღმართებს აუყუყუვით, ჩვენს „ტრანსპორტს“ ძრავი უცხელდებოდა და ხშირად ვაჩერებდი გასაგრილებლად. ერთხელ რადიატორის ხუფიც ამძვრალიყო.

- მოტორს არ დავეკარგავდეთ, თორემ არ დავეძებ არაფერსო, - ხუმრობდა გურამი.

ვაჟკაცური ბუნების, მკაცრი ტრადიციების კაცი იყო.

გზაში ერთ ჩვენს ნაცნობზე მიყვებოდა: სამჯერ დამპატიჟა სახლში, მაგრამ ვერ მივივდი, მისი ოჯახის ერთი წევრი ცოტა ეშმაკობაში მყავს შემჩნეულიო.

მაშინ ფანჯიკიძეებს რაჭაში სახლი არ ჰქონდათ. მოგვიანებით გამართეს ხის ოდა გურამმა და მისმა ძმამ თემურმა (ახლაც ცოცხალია, ნიჭიერი პუბლიცისტი და მეცნიერი).

იქ, ამბროლაურთან, ახალსოფელში გაატარეს სიბერე გურამის მშობლებმა - ივანემ და თამარმა.

ბიძაშვილებთან, მოხუც ცოლქმართან გავათენეთ ღამე.

- დავბერდი, შეშის დაჩეხვაც მიჭირსო, - სხვათა შორის ჩაურთო მასპინძელმა.

დიდებული პურობის მერე ცალკე ოთახში გავვიშალეს სანოლი.

გამთენიას ნაჯახის ჩახა-ჩუხმა გამაღვიძა.

გურამი არსად ჩანს. ფანჯრიდან გავხედე. ოფლში გახვითქული შეშას ჩეხავს.

ასეთი იყო გურამი.

მურმან თავდიშვილი

თანამედროვე მკითხველს უჭირს ვრცელი ნაშრომების კითხვა. მით უფრო იტქმის ეს ვრცელ მხატვრულ გამოწვევას. მას ურჩევნია დოკუმენტური პროზა, რეალური ამბების მოკლე და სხარტი ფორმით მიწოდება. ამ მხრივ კაცობრიობას მართლაც რომ სულზე მიუსწრო ფეისბუქმა. აქ სტატუსების გამოქვეყნება იგივეა, რაც დღიურების შედგენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელება. თანაც დღიურს იმითა სჯობს, რომ მყისიერია, გამოირჩევა ფართო საჯაროობით. აქ შეიძლება მეგობრებსა და საზოგადოებას მიანოდო ესა თუ ის ინფორმაცია, ალაღვინო განცხადებები კონტაქტები, გაიჩინო ახალი მეგობრები, გამოხატო წიგნებისა და მოსაზრებებისადმი შენი დამოკიდებულება. აქვე შეგიძლია საკუთარი მხატვრული ნაწარმოების დადება, მათზე ხალხის აზრის გაგება. იყო დრო, წერილების ურთიერთგაგზავნა კულტურის გამოვლინებას მოასწავებდა. მერე ეს წესი თუ მოდა გადავარდა და ამის გამო წუნწინი კი დავინწყეთ. და აი, ფეისბუქმა ისევ მოგვცა საშუალება, ეგ საუკეთესო ტრადიციაც აღგვედგინა.

მართლაც ბრძანებს პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე, რომ „ფეისბუქით ბევრი ადამიანი გულს იოხებს, თავისი არსებობის ახსნასა და გამართლებას ღამობს. ბევრმა სწორედ ამით სძლია მარტოობასა და უნუგეშობას“.

და აი, ექვსწლიანი საფეისბუქო მოღვაწეობის შემდეგ თეიმურაზ ფანჯიკიძემ შეკრიბა თავისი სტატუსები და სტამბურად გამოცემული წიგნის სახითაც შემოგვთავაზა. მთელმა ამ მასალამ შეადგინა უზარმაზარი ფოლიანტი, ფართო ფორმატის 512 გვერდიანი კრებული. მისი სახელწოდებაა „იყო დღე და იყო ღამე“ (2022).

რამდენადაც ვიცი, ამ ტიპის წიგნი პირველად გამოდის და ამითაც საინტერესოა იგი. მარტო სათაურების ჩამოთვლაც კი გვაძინებს, რა მრავალმხრივია აქ მოთავსებული მასალები: „ცოტა რამ რწმენაზე“, „დროსა და ჟამზე“, „რაჭველებზე“, „მდინარე კრისხულა“, „მუსლიმ მაგომაევი, მე და ფოლად ბულბულოლი“, „მოტლანდია“, „სათიბებზე“, „რა ელირებოდა სტალინის ჩიბუხი?“, „რატომ არ არის რუსოფობია საქართველოში“, „რაჭველი ქალები“, „ჩვენ და იაპონელები“... ზოგი მათგანი ისე საინტერესოა, უპრიანია, აქვე მოვიყვანოთ: ერთი ცნობილი მომღერალი ქალბატონი არაერთ სკამზე გადამხტარ ტელენამყვანს ებოდიშებოდა: „რა ვქნა, რა მოგიტხროთ, ჩემს ცხოვრებაში საინტერესო არაფერი ხდება – დღესაც ის ქმარი მყავს, ვისზედაც გავთხოვდი, შვილებიც მხოლოდ მისგან მყავს, არც მე მყოლია საყვარელი და არც ქმარსაო“... ტელენამყვანი ისე თანაგრძობით უმზერდა, თითქოს ეუბნებოდა: „არა უშავს, ხდება ხოლმეო“ (20).

ზოგ სტატუსში მახვილად არის მინიშნებული მთავარზე, რითაც ყველაფერია თქმული და ზედმეტ კირკიმალს აღარ საჭიროებს. მწერალი ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რის გამოც ხალხში საბჭოთა კავშირის ნოსტალგია

გაჩნდა, ოღონდ ფაქიზად აღნიშნავს მთავარს: არ გვყავდა მათხოვრები.

აქ არ შეიძლება ერთი ცნობილი ამბავი არ მოგვაგონდეს: ერთ მარშალს ნაპოლეონი ეკითხება დამარცხების მიზეზებს. სარდალმა, ამის ათი მიზეზი არსებობსო. – აბა, ჩამომითვალეო! – პირველი, ტყვია-წამალი არ გვქონდა, მეორე... ნაპოლეონმა შეაწყვეტინა: - მოიცა, მოიცა, რაღა საჭიროა მეორე და

რაც სევდას ვერ მოერია

მეცხრე, როდესაც პირველიც კი კმარა დამარცხებისათვისო?!

ასეა ამ შემთხვევაშიც: საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში არ გვყავდა მათხოვრები და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მოვიხმობთ კიდევ ერთი სტატუსი, რომელსაც იუმორი არ აკლია. ესაა „სტალინური რეპრესიების მსხვერპლი“: „ძალიან მომეწონა ადოლფ ჰიტლერის სტალინური რეპრესიების მსხვერპლად გამოცხადების იდეა, ინტერნეტში რომ გაივლია! აბა, სხვაგვარად როგორ? ეს საწყალი კაცი ჯერ რუსეთიდან გააგდეს, მერე ევროპიდან, ბოლოს კი თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანეს!“ (35)

ერთ ნაფეისბუქარ მასალას ასე ჰქვია: „დიდი თურქობა...“ ბოდიში, შემეშალა, „დიდი გურულობა საქართველოში“ (38): 1960-70-იანი წლებია. მაღალ თანამდებობებზე სულ გურულები ისხდნენ... ერთხელ გურულთა ერთ-ერთმა ბელადმა შოთა ჭანუყვაძემ ირონიულად ჰკითხა მეგრულთა გამორჩეულ პარტიულ მუშაკს დამიანე გოგობიას: - რაა, დამიანე, გამაგებინე, ეს ფეხბურთელები სულ მეგრელები რად არიან?! დამიანემ გულისტკივილი ვედარ დამალა და აუხსნა: - შოთა ბატონო, თანამდებობებს არ აძლევენ და რა ქნან, დარბიანო!

თავისებურად სასიეროა „მეხვედრა“ (45): ახალბედა ლექტორი თეიმურაზ ფანჯიკიძე გეოლოგიის ფაკულტეტელთა ლექციაზე შევიდა. ერთი ქალიშვილი მოეწონა. მის დანახვაზე სწავლული შეკრთა. ლექციაც არეულ-დარეული გამოვიდა. მრავალი წლის შემდეგ ამ პიროვნებას, ახლა უკვე მის მეუღლესა და ორი შვილის დედას, ყოფილმა ლექტორმა ჰკითხა: - რა იფიქრე, პირველად რომ დამინახეო?! პასუხი ცივი წყლის გადასხმასავით გამოვიდა: „რომ შემოხვედი, ისე მკაცრი სახე გქონდა, ვიფიქრე: „ვაი, შენი ცოლის ბრალი-მეთქი!“

აკი აუხდა კიდევ! გამოჩენილი პოლიტიკური მიმომხილველი აბონ ციციანიშვილი, ქართველი ებრაელი, ყველას უყვარდა. თ. ფანჯიკიძე იგონებს:

„ერთხელ ბატონ აბონს სერიოზულად ვკითხე: - საერთაშორისო ურთიერთობების მიმომხილველი ხარ, მსოფლიოს ამბებს არჩევ და საზღვარგარეთ რად არ დადიხარ-მეთქი?! რაზედაც უმალ მიპასუხა: - თემურს დავენაცვლე, განა საზღვარგარეთ არა ვარო?! მეორედ ზუგდიდში შეხვედი და იქაც გავიოცე: - აქ რა გინდა-მეთქი?! გაიცინა და ამიხსნა: - შენ, რაჭველს, რა გინდა აქ, თორემ ჩვენ, ებრაელებს, მეგრელებთან უფრო დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებსო?!

თავისებური კომიზმით გამოირჩევა „აბონის“ სხვა ეპიზოდები: ბათუმში სა-

ჯარო ლექციებს კითხულობენ ქრისტიანი ფანჯიკიძე, ებრაელი აბონი და აჭარელი მაჰმადიანი ლექტორი. საღამოთი სუფრა გაუშალეს. მაგიდაზე, შუაში, თვალმჩინარობდა მშვენივრად შებრანული გოჭი. თეიმურაზს გაეხარდა: ღორს არ ეკარება არც იუდეველი, არც მაჰმადიანი. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. სუფრას რომ მიუსხდნენ, გოჭს პირველი აბონი ეცა.

აქ კი სიტყვა თ.ფანჯიკიძეს დავუთმეთ: „ადონაი (უფალი) ვუხსენე, თორა და თალმუდი, რჯული და ადათიც შევახსენე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ იტყვიან, ყურიც არ შეიბერტყა, არაფერმა გაჭრა. სასონარკვეთილმა ახლა მეორე მხარეს გავიხედე. იქ უკვე ალაჰის დიდი იმედი მქონდა, ვფიქრობდი, მუსლიმი მაინც არ შეირცხვენს თავს-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, აქაც მძიმე სურათი დამხვდა: ბათუმელი ლექტორიც გააღმასებული ანადგურებდა გოჭს. რაღა უნდა მექნა ამ „ურჯულოების“ ხელში?! თავი იმითლა ვინუგეშე, რომ მაცხოვრის სიტყვები გავიხსენე, ჯვარცმის დროს რომ წარმოთქვა: „მამაო ჩვენო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ უწყიან, რასა სჩადიანო!“ (50)

ჩვენი ავტორის საფეისბუქო მასალებიდან ბევრ საგულისხმო ცოდნას მივიღებთ, ბევრ ფაქტს (ზოგს მივიწყებულს, ზოგსაც უცოდინარს) გავიგებთ. აქ ერთი ვახსენოთ: იტალიას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ეროვნულ გმირად მხოლოდ ორი კაცი ჰყავს გამოცხადებული: რუსი პოლეთაევი და ქართველი მოსულიშვილი (59).

ამ ფოლიანტის გამოსვლის შემდეგ ერთი წელი კიდევ გავიდა და ავტორმა ისევ გამოსცა იმავე ტიპის მომცრო წიგნი „გუჯია“ (2023), რომელშიც ზოგი ძველი მასალა შეიტანა და ახალი ჩანახატებითაც გაამდიდრა. ორივე წიგნს შესამჩნევ ზოლად გასდევს ნათელი სევდა, იმის მსგავსი, ერთი ჩანახატიდან რომ იჭვრიტება. ეს არის „დაბადების დღე“. 5 წლის ბაღს დაბადების დღე გადაუხადეს. მაშინ დედაცა ჰყავდა, მამაც, ძმაც, სხვა ნათესავებიც, ბედნიერი იყო, „ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა – ქალამინა“. აი, თუ როგორ ჩანს ცხოვრების აისი მოახლოებული დაისის ბინდში: „და, როცა მეკითხებიან, თუ რომელი დაბადების დღე დაგამახსოვრდა ყველაზე მეტადაო, მე უყოყმანოდ სწორედ იმ დღეს ვასახელებ, თან ჩემდა უნებურად სახეზე ხელს ვისვამ და ლოყებზე დედის სურნელის, ალერსისა და კოცნის კვალს დღემდე ამაოდ დავეძებ...“

ამ ნაფეისბუქალი ჩანაწერების კითხვისას ბევრჯერ შეგიტოვლდება გული, რომელიც სევდას ვერ მოერია, და უნებლიეთ გინდება ეგ წერილი ალექსანდრე ბლოკის სიტყვებით დაასრულო:

თვალს მტაცებს ჩემი ტომების სისქე – ლექსი, წერილი და მოგონება... და უღმობელი სიცხადით ვიგრძენ, რომ სიზმარივით გაქრა ცხოვრება!



ავთანდილ ნიკოლეიშვილი - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ოთარის ძე ნიკოლეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბატონო ავთანდილ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერი მწერალს, მეცნიერს, მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს. თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა წარმოუდგენელია თქვენი მრავალმხრივი მნიშვნელოვანი შემოქმედების გარეშე. თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება. პირველი ლექსები 1965 წელს გამოაქვეყნეთ, მერმე პოეტური კრებულებიც გამოეცა და ყველა დარწმუნდა, რომ საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედი მოეცლინა ლიტერატურულ სამყაროს.

თუმცა, უპირველეს ყოვლისა, სამოღვაწეოდ მაინც ისეთ ურთულესი ჟანრი აირჩიეთ, როგორც კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა და თქვენი ნონადი, მნიშვნელოვანი სიტყვაც თქვით. თქვენი კრებულები „გამოძახილი“, „ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე“, „გაბრიელ ეპისკოპოსი“, „ნაკადები“, „თვალთხედვა“, „ლიტერატურული ეტიუდები“, „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ (შვიდ ტომად), „პაოლო იამვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „ნიკო ლორთქიფანიძე“, გიორგი ლეონიძის ლირიკა“, ქართული მწერლები და აფხაზეთი“, „ვეროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ“, „ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი“ (2 ტომად), „XX საუკუნის ქართული მწერლობა. ლიტერატურული პორტრეტები“, „საქართველო უცხოელ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში“, „ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში (1917-1921)“ სრულად პასუხობს თანამედროვე კრიტიკული აზროვნების დონეს და მის საუკეთესო მიღწევათა რიგს განეკუთვნება.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეთ ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და თურქეთისა და ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებისა და მათ მიერ შექმნილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას. ამის დასტურია თქვენი ისეთი ნიგნები, როგორცაა „ქართული ემიგრანტული მწერლობა“, „ქართველოლოგიური ეტიუდები“ (ხუთ ტომად), „ქართულენოვანი ფოლკლორი და მწერლობა თურქეთში“, „ლაზეთი. ისტორიულ-ფილოლოგიური ნიაღვრები“, „თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, „ფერეიდანი (ისტორიულ-ლიტერატურული რეალიები“, „თურქული დღიურები“, „ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან“, „ლალო არველაძე - უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწერალი“ და სხვა.

უყურადღებოდ არც ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობანი დაგრჩათ და ამ თემას საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნით, თუნდაც ისეთები, როგორცაა: „დავით და გერცელ ბაზოვები“, „ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან“ (ორ ტომად), „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“...

ამ ნიგნებში ცხადად გამოიკვეთა თქვენი სააზროვნო დიპაზონი, ფართო თვალსაზრისი, დახვეწილი გემოვნება.

თქვენს მეცნიერულ მოღვაწეობაში დიდი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც წარმატებით დაიცავით როგორც საკანდიდატო („სიმონ ჩიქოვანის პოეზია“ - 1974 წ.), ისე სადოქტორო („ქართული ლირიკა. XX საუკუნის 60-იანი წლები“ - 1983 წ.) დისერტაციები. თუმცა თქვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს ასპარეზად პირველ ყოვლისა მაინც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა, სადაც უდიდესი წარმატებით გაიარეთ გრძელი და საინტერესო გზა ლაბორანტობიდან რექტორობამდე. არჩეული იყავით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. ამჟამად კი ხართ ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ რედაქტორი, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილების - უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა - ხელმძღვანელი, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს კოორდინატორი. წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობთ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების იმერეთის განყოფილებას. წარმატებული სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის არჩეული ხართ გელათის, ფაზისის, ნიუ-იორკის, ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა და ლიტერატურისმცოდნეთა აკადემიების ნამდვილ წევრად; ასევე „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ მთავარ რედაქტორად...

თქვენი მრავალწლიანი და უაღრესად მნიშვნელოვანი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და გერცელ ბაზოვის სახელობის პრემიები; ასევე: ქართულ-ვეროპული ინსტიტუტის (პარიზი), საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალ „განთიადის“ პრემიები, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიგელი, ქართული კულტურის რაინდის ნოდარ აბიასიძის სახელობის პრემია, „საქართველოს კულტურის რაინდის“ ნოდარ აბიასიძის სახელობის პრემია და კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქედ, კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრად. ასევე ხართ შეყვანილი XX საუკუნის 200 საუკეთესო ინტელექტუალთა რიგებში. სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრმა კი მოგანიჭათ სერტიფიკატი ჩვენი კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის...

ბატონო ავთანდილ! როგორც ღირსეულ მწერალს, მეცნიერსა და ერისკაცს, კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გულითადად გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მამაყაზი

„ადამიანი ბელელია ღვთით კურთხეულ ნიჭთა. ბედნიერია ის, ვინც თავის ნიჭიერებას სამშობლოს კეთილდღეობისთვის გასცემს უშურველად. სახელი მისი მარადისობას დარჩება“. - წერდა ჭაბუა ამირეჯიბი. ბატონო ავთანდილ, თქვენ იმ ქართველთა გენის ბრძანდებით, ღვთით ბოძებულ ნიჭს უშურველად, დიდი რუდუნებით რომ ხარჯავთ ჩვენი საფიცარი საქართველოსთვის. თქვენ იმ ღირსეულ ქართველთა გენის გამგრძელებელი ხართ, კარგად რომ იცოდნენ, სიტყვა უფალია და მისადმი თაყვანისცემა და მსახურება - საღმრთო საქმე. მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ერისკაცი, პედაგოგი, არაერთი პრემიის, ჯილდოს მფლობელი, მრავალთათვის იქცეით მისაბამაგალითად და უძვირფასეს პიროვნებად.

მკათათვე დაგდგომიათ, ბატონო ავთანდილ, შემოქმედებითი მკათათვე, იმკით, რაც ასე უშურველად დაგიტესიათ, რამაც თქვენს სახელსა და გვარს განსაკუთრებული, ამაღლებული, დაუვინყარი ელფერი შესძინა.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ მზევგრძელობასა და დღეგრძელობას. მეც მიმიტვალეთ იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა გვერდით, ვისაც თქვენთან მეგობრობა ეამაყება.

მაცვალა გონშვილი

ქვირფასო ავთანდილ!

ქართული ლიტერატურის სარბიელზე ლექსებით გამოჩნდი. მერე მეცნიერებამ გაგიტაცა, თუმცა პოეზიისთვის არასოდეს გილაღატი. პოეზიის სამსახურში დგომა იყო, აბა, რა იყო, შენი მუხლჩაუხრელი რუდუნება მწერლობაში შავ-თეთრის გასარკვევად, იმ ურთულესი საქმის შესასრულებლად, რასაც შენს მეტი ვერავინ შეძლებდა და რასაც ნიგნში თავისი ადგილის მიჩენა ჰქვია.

დღეს სამოცდათხუთმეტი წლის ხარ და, სულ ცოცხლო, ჩემთვის ისევ ის ავთო ხარ ამ ორმოცდაათი წლის წინ რომ გნახე თბილისში საკანდიდატო დისერტაციით ხელში - მოკრძალებული, იმერულად პენიანი, ხმელ-ხმელი, ანთებული თვალებით შენს თავში დარწმუნებული... დარწმუნებული იმაში, რომ ლიტერატურის ზიგზაგებიან სვლაში ბევრს რასმე შეცვლიდი.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შენი ფიზიკური წონისთვის გრამი არც მოგიკლია და არც მოგიმატებია, მაგრამ შენს მეცნიერულ წონას და საზოგადო ღვაწლს ბევრი რამ შესძინე.

დღეს მთელი საქართველო თანამედროვე მწერლობის ისტორიას შენი სახელმძღვანელოებით სწავლობს, რაკილა ისინი ზუსტად და ობიექტურად ასახვენ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს.

უაღრესად ფართო მასშტაბის ლიტერატურისმცოდნე მეცნიერი ხარ. გარდა უშუალოდ ქართული მწერლობისა, შენ პირველმა გადაიხედე ე. წ. თურქეთის ტერიტორიაზე და იქ დარწმინდი ქართული ტომის-ლაზების ლიტერატურულ ცხოვრებაზე მშვენიერი ნიგნი დაწერე.

შენ ერთ-ერთმა პირველმა გაუწოდე საძმო ხელი ებრაულენოვან მწერლებს, ჩვენს ოცდაექვსსაუკუნოვან უღალატო ძმობაზე დიდებული ჟურნალი დააფუძნე და შენი უაღრესად საინტერესო გამოკვლევებით დაამშვენე.

შენთა გამარჯვებათა კალეიდოსკოპზე, ათობით პრემია-ჯილდოზე და არაერთი აკადემიის ნამდვილ წევრობაზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო ის რად ღირს, რომ ურთულეს წლებში ურექტორე სახელოვან ქუთაისის

უნივერსიტეტს და მის უკვდავ საქმიანობაში, რასაც ეროვნული ინტელიგენციის აღზრდა ჰქვია, ღმრთის წილი დაიდო.

შენ პირველმა დააარსე საქართველოში ქართული ლიტერატურის დეპარტამენტი და დღემდე მუხლჩაუხრელად თავკაცობ.

რაც ზემოთ ვთქვი, ნახევარიც არ არის შენი - დიდი ავთანდილ ნიკოლეიშვილის დასახასიათებლად.

დანარჩენს 80-წლოვან იუბილეზე გეტყვი.

სიბერე არ შეგაშინოს. სიბერე ჯერ შორსაა.

„მაგრად დექ“, ჩემო ავთანდილ!

რევაზ მიშველაძე

დიდხანს და დიდხანს!

მივესალმები ავთანდილ ნიკოლეიშვილს, ჩემს ძველ მეგობარს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს - მივესალმები და ვულოცავ 75 წლის შესრულებას.

ავთანდილი მრავალი წიგნის, მრავალი გამოკვლევის ავტორია, რომელსაც დიდი ინტერესით ეცნობიან კოლეგები, მკითხველები. მაგრამ მათგან გამორჩეულია XX საუკუნის ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი ტომების სერია, რომელშიც ობიექტურად და დიდი პროფესიონალიზმით არის განხილული აქტუალური პრობლემები, შესწავლილია ცალკეულ მნიშვნელოვან მწერალთა შემოქმედება. მათ შექმნას მეცნიერმა დიდი დრო და ენერჯია შეაღია.

მაგრამ პარალელურად ავთანდილი როგორც ლექტორი, უნივერსიტეტის რექტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი აღმზრდელია მთელი თაობებისა.

თუ ამას დავუმატებთ მის პიროვნულ კეთილშობილებას, პატრონიტიზმს და უანგარობას, ჩვენ წარმოვიდგება ნამდვილი და თვალსაჩინო მეცნიერის სახე, რომელიც ჩვენს რთულ დროში ღირსეულად აგრძელებს ეროვნულ ტრადიციებს, აგრძელებს იმ ქალაქში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

დიდხანს და დიდხანს გაგრძელებულიყოს ავთანდილ ნიკოლეიშვილის გარჯა ჩვენი მეცნიერების ღირსებისა და წინსვლისათვის.

სოსო სიგუა

ჩამო ავთო!

მათეს სახარებიდან ვიცი: საიდუმლო სერობაზე ქრისტემ უთხრა პეტრეს (თავის ყველაზე ახლობელ მოციქულს), სანამ მამალი მესამედ იყვილებს, სამჯერ მილაღატებო.

არ დაუჯერა პეტრემ თავის მოძღვარს: არავითარ შემთხვევაში, მთელმა დუნია რომ გილაღატოს, მე მაინც არ გილაღატებო. ვერ შეასრულა პეტრემ დანაპირები.

მამლის მესამე დაყვილებაზე სამჯერ უარყო ქრისტე.

ჩემო ავთო, ნება მომეცი ამ ერთადერთხელ ეჭვი შევიტანო სახარებისეულ ჭეშმარიტებაში.

შენს იუბილეზე მავანნი და მავანნი შენს დიდ საქვეყნო ღვაწლზე ილაპარაკებენ.


მე კი მხოლოდ ერთ მხარეზე - შენს ერთგულ მეგობრობაზე და გაუბზარავ კაცობაზე ვიტყვი ორ სიტყვას.

ფიცით გითხრობ: ღმერთმა ნუ ქნას და ყველამ რომ გილაღატოს, მე მაინც არ გილაღატებ.

შენი ოთარ ჭუმბურიძე

რეკავი მიხვალაქა

ნიგნი ჯვარცმულ პოეტზე



ნიგნის ყდას გაცრეცილი პერგამენტის მოყვითალო ფერი აქვს. ცალ მხარეს დაკბილულია. აქვეა ტერენტი გრანელის ფაქსიმილე და პოეტის მიერ დახატული ფარშევანგის თავი. ქვემოთ აწერია „სულის ბორკილები“.

წალენჯიხა, 2023“.

პეტით აწყობილ ამ მომცრო ნიგნის მხოლოდ და ტექსტის მეორე გვერდზე ძლივს ამოიკითხავთ, რომ მისი ავტორი გახლავთ მამანტი როგავა.

რა მოკრძალებული და თავმდაბალი უნდა იყოს ავტორი, რომ არც ყდაზე და არც ტიტულზე თავისი გვარი არ დაანეროს.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ბრწყინვალე ექიმის და საზოგადო მოღვაწის პროფესორ მამანტი როგავას პიროვნებას.

არაერთი ათეული წლებია მამანტი ჩვეული რუდუნებით, საოცარი გულისხმიერებით ფეხდაფეხ მიუყვება ტანჯული პოეტის სვლას ჯერ საბჭოურ და მერე „თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში“.

თვე არ გავა, რომ არ გამომეცხადოს და სატერენტო გარემოებაზე აღშფოთებით არ მესაუბროს: „იქ დაბადების თარიღი შეუცვლიათ“, „იქ ტერენტის ლექსიდან სტროფი ამოუგდიათ“, „იქ ტერენტის შვაცაბაიასელი ბიუსტის დადგმას აჭიანურებენ ჩინოვნიკები...“

მამანტი და მისი ძმა გიზო ტერენტი გრანელის დის ზოზიას („ახლა მიგონებს, ალბათ, ზოზია...“) შვილიშვილები არიან.

რა დიდებულია მათი რუდუნება სახელოვანი წინაპრის უკვდავსაყოფად.

ეს თავმდაბალი, კეთილალნაგი, სისპეტაკით და რაინდობით გამორჩეული კოლხი ძმები მთელ საქართველოს მაგალითს აძლევენ იმისას, თუ როგორ უნდა მოუაროს კაცმა თავის ღირსეულ წინაპრას.

მე კარგად მახსოვს მათი მშობლები. ზუგდიდში ჩემი მეუღლის მეზობლად ცხოვრობდნენ უჩა (უჩიკო) და ალექსანდრე (ბოჩო) როგავები.

ულამაზესი ქალი იყო ქალბატონი უჩა, ზოზიას მხოლოდმობილი ასული, სწორბეჭებიანი, მოხდენილი ვაჟკაცი გახლდათ მისი მეუღლე ბატონი ალექსანდრე. ახლა ისინი ორივენი ცათა სასუფეველში განისვენებენ.

დიდებული ნიგნი დაუნერია მამანტი როგავას. ერთის მხრივ მის ნიჭს და მართალ კაცობას რომ ეკადრება ისეთი და მეორე მხრივ უკვდავი ტერენტის სახელს რომ ერთხელ კიდევ წარმოა-

ჩენს ისეთი.

თუ ვინმეს რამე დაუნერია „მემენტო მორის“ ავტორზე, თუ ვინმე საქმით შეწევნია ტერენტის სათანადოდ დაფასების კეთილშობილ საქმეს, თითქმის არავინ გამორჩენია.

თანაც, რაკილა ტერენტის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ხელისგულზე უდევს, ავტორი საოცარი თავმდაბლობით გაივლის ხოლმე სხვათა ნაშრომების ახლომახლო და ისე, რომ არ აწყენინოს, სხვათა შორის, მოკრძალებით შეუსწორებს ხოლმე თუ რასმე არაზუსტს აღმოაჩენს.

თან კარგად იცის, რომ მხატვრული ლიტერატურისადმი გაგულგრილებულ ამ საუკუნეშიც არ ნელდება ინტერესი თავგანწირული პოეტისადმი, რომელიც ბოლშევიკების მიერ მისი სამშობლოს ანექსიას ბოლომდე არ შეეგუა და თავგადაკლული ურჩობისათვის სრულიად ნორმალური კაცი სურამის საგიჟეთში გამოამწყვდიეს.

თითები გამიცვივდა და ცრემლი მომადგა იმ ადგილებს ის კითხვისას, სადაც ზოზია ჰყვება, თუ როგორ მოადგადების (მაშო და ზოზია) ნაქირავები ოთახის კარს შუალამისას სურამიდან გამოქცეული ტერენტი გრანელი.

სხვა უაღრესად საინტერესო ფურცლებსაც აღმოაჩენს ამ ნიგნში ტერენტი გრანელის თავყანისმცემელი მკითხველი.

თავს აღარ შეგანყენთ, რომ ნიგნის ნაკითხვით მოსალოდნელი სიამოვნება არ გაგინელოთ.

აქვე ამოვწერ მამანტი როგავას მიერ აღმოჩენილ, აქამდე დაუბეჭდავ, ტერენტი გრანელის მიერ სურამის ე. წ. „საავადმყოფოში“ დაწერილ ლექსს:

მე ცას ვუყურებ და ზეცას ვხედავ, მას ზედ ადევს ცდუნებების რაზა, კრინტს ვერ დაძრავს დანანების ფერია, კვლავ არ დავწერ შეწყალების არზას.

მე ცას ვუყურებ და ზეცას ვხედავ, მისი ხატება ქარიშხალია უფლის გვერდითაც ჩემს ფიქრებს ვბედავ, სამოთხის ბაღშიც მოჩანს გალია.

მე ცას ვუყურებ და ზეცას ვხედავ და ის თურმე უფსკრულების ძირია, იქ ღვთის თვალეები, ვით მშრალი წყალი, რიყის ქვებივით მიმოყრილია.

მე ცას ვუყურებ და ზეცას ვხედავ, ჩვენი მიზნით თურმე დატორილია. აქ მხოლოდ თავის თავის უფალი გრანელის სულის ALMA MORI-a.

მე ცას ვუყურებ და ზეცას ვხედავ თურმე ის მინის ანარეკლია, გავისეირნე ზეცის ბაღებში და ის ჩემი უკვდავების ფერია.

ქრისტეს ასაკში, ოცდაცამეტი წლისა ჯვარს ეცვა ტერენტი გრანელი, ქრისტესავით ამაყი და ქედუხრელი წავიდა იგი ისე, რომ შეწყალების არზა არ დაუნერია და არც ზავით შეკვრია ნითელი იმპერიის სადამსჯელო ექსპედიციას.



გივი ლობჯანიძე - 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გივი ლობჯანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისაღობა გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გივი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემითა და თანადგომით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს, ჩინებულ მეცნიერს, ერისკაცს და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ სარბიელზე ამ ათიოდე წლის წინ გადადგით, როდესაც პირველი ლიტერატურული ტექსტი „ერთი ქილა ლუდი“ გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ აქტიურ სამწერლო საქმიანობას ეწვეით და უკვე ოთხი პუბლიცისტურ-მემუარული კრებულის გამოცემა მოასწარით. ეს კრებულები („მოგონებათა ქრონიკები“, „კენჭები“, „იმედი“, „ნიღაბი“) ქართველი მკითხველის ქვეშაირი აღიარებით სარგებლობს, რადგანაც მათი ავტორი დიდი ადამიანური სითბოთი მოგვითხრობს მისი თვალთ დახახულ საქართველოზე, მის აწმყოსა და მომავალზე, იმ იდეალებზე, რამაც აქამომდე მოიყვანა ივერთა მინა. ყოველივე ამას აკეთებთ მოხდენილი იუმორის გრძობით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და დამაჯერებელს ხდის თქვენს მონათხრობს.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს თითქმის დაუჯერებლად გვეჩვენება იმის ფონზე, როცა თითქმის მთელი ცხოვრება ერთი შეხედვით ისეთ მრისხანე და შეუვალ ინსტიტუტებში გაატარეთ, როგორც სამართალდამცავი ორგანოებია.

თქვენ ხომ სხვადასხვა დროს მუშაბდით შსს თერჯოლის რაიონული განყოფილების უფროსად, ქუთაისის პოლიციის სამმართველოს უფროსად, შსს საქსპერტო კრიმინალისტური სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შსს აკადემიის პრორექტორად, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორად, ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ მთავარ რედაქტორად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის კათედრის გამგედ, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანად, თსუ იურიდიული მეცნიერების ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრად. არჩეული ხართ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, იურიდიულ მეცნიერებათა და საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიების ნამდვილ წევრად, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად, საზოგადოება „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტად. რაც უმთავრესია,

1992-1995 წლებში არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად და აქტიურად მონაწილეობდით საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში.

იურისტი ბრძანდებით იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი და უნდა ითქვას, რომ მეტად შთამბეჭდავია თქვენი ნაშრომების ნუსხაც ამ ურთულეს მეცნიერებაში („ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან“, „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, „რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“-ორ ტომად. „სამართლის ფილოსოფია“ - 2 ნიგნად, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“...)

ბატონო გივი!

კარგად ვიცით, რომ სირთულეებს არ უშინდებით და ბედნიერიც მაშინა ხართ, როცა მათ დაძლევას ახერხებთ. და მაინც, რა ძალამ თუ შთაგონებამ გააბედვინათ, რომ საუკუნეთა უღრანებში გადაკარგულ გუბაზ მეფის თემას შეეხეთ, შექმენით მეტად საგულისხმო პიესა „გუბაზ მეფის მკვლელობის ისტორიული ქრონიკა“ და შეეცადეთ დრამატურგის თვალთ დაგენახათ ქართულ სისხლში განზანზილი ქრონიკების ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი.

თქვენი დამსახურებანი საესავი სამშობლოსადმი ღირსეულად აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ ვახტანგ გორგასალის მე-3 ხარისხისა და ღირსების ორდენებით. მოგენიჭათ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია, ქართული კულტურის ამავდარის ნოდება.

ბატონო გივი!

თქვენს უკან ათწლეულებია და, აქედან გამომდინარე, არაერთ ფოტოლცვენას შესწრებხართ და ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ პროცესს ვერცერთი ჩვენგანი ვერ გადაურჩება. ამიტომაც ცდილობთ, რომ თქვენმა არსებობამ არამინიერ განზომილებაში იმაზე მეტი არ თქვას თქვენზე, რასაც ჩვენს ულამაზეს ცისფერ პლანეტაზე ყოფნისას ამბობდნენ. ჩვენ რომ გვეკითხოთ, ამას აქამომდე ჩინებულად ახერხებთ.

ამიტომაც კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს მრავალმხრივ მოღვაწეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს აგრერივად საჭირო საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩამო გივი

სამოცდათხუთმეტს გილოცავ. მეამაყება, რომ შენი კალმის სიძლიერე ამ ათი წლის წინათ შევნიშნე, პუბლიცისტიკაში ჩემს ფალანად გალიარე და საქართველოს მწერალთა კავშირის შენეულ ნიგნაკს ხელი სიამოვნებით მოვანერე.

გუმამა არც ამჯერად მიღალატა. ყოველ მეორე წელიწადს გვახარებ ჩვენს საერთო მეგობრებზე დაწერილი მშვენ-იერი ნიგნებით, რომლებშიც ქვეშაირი მწერლის თვალთა და გონებით შექმნილი პორტრეტებია.


მეცნიერებაში ხომ ესოდენ ხელხვაიანი ხარ. ახალი სიტყვა თქვი ნიკო ნიკოლაძის და არჩილ ჯორჯაძის შემოქმედებაზე; მწერლობის ურთულეს ჟანრში, რასაც დოკუმენტური პროზა ჰქვია, არავის ტოლს არ უდებ.

შენი მშობლიური ლეზივით მაღალი ხარ და მთის კაცის რაინდობა, სულდილობა, მოყვასის სიყვარული გახასიათებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალი სატკივარი - შოვის საშინელი ტრაგედიაც არ დარჩება შენი პუბლიცისტური ყურადღების გარეშე.

ღმერთმა სიმხნევე და გამძლეობა ნუ მოგაკლოს.

რევაზ მიშველაძე

წინათქმა



ზაალ ნემსაძე

სასწაული

ნანას მანქანის დაჯახება არც უგრძობია. წამის მეასედში დაენარცხა ასფალტს და გრძობა-გონება გაეთიშა. ლამის მთელი ჰოსპიტალი მუშაობდა მის გადარჩენაზე, მეორე დღით საერთო მდგომარეობა ოდნავ მოწესრიგდა, თუმცა კვლავ უკონტაქტო და უგრძობი იყო. აპარატზე მიაერთეს და დაელოდნენ, რომელი ანგელოზი მოაკითხავდა ბებიას, სიცოცხლის თუ სიკვდილის...

შუადღეზე ჰოსპიტალის მეცხრე სართულზე, ნანას მკურნალ ექიმთან მდიდრულად და გემოვნებით ჩაცმული ბერიკაცი შევიდა და უბოდიშოდ ჩამოჯდა სკამზე.

- მითხრეს, რომ ჩემს მეუღლეს თქვენ მკურნალობთ, - ჯიქურ შეხედა ახალგაზრდა ექიმს, - ხელმძღვანელობამ ძალიან გაქოთ. იმედი მაქვს, სამართლიანად. პირდაპირ მიპასუხე, გადარჩება?

- ეგ თქვენ უნდა გკითხოთ!
- რაა? შეიძლება უფრო გასაგებად მითხრათ? - თქვენობითზე გადავიდა მოხუცი.

- გინდათ, რომ გადარჩეს?
- ბოდიში? - ყური მიუშვირა ექიმს.

- გუშინ არ გამოჩნდით. ახლა კი სიძესავით გამოწყობილი გამოგვეცხადეთ.

- ძლივს გავარკვიე რა დაემართა, მთელი ქალაქი შევეძარი, ჩვეულებრივად მაცვია, აბა, შიშველი ხომ არ... როგორც ინებეთ და ბრძანეთ, გამოგვეცხადებოდით?! - უპასუხა გულნატკენმა მოხუცი.

- ბოდიში, ბატონო, თქვენი მჯერა. ერთად უნდა ვიბრძოლოთ ქალბატონის გადასარჩენად, თუმცა შანსები ძალიან მცირე გვაქვს.

- გამახარე, შვილო! შანსი, თუნდაც მცირე რაკი არსებობს, ყველაფრისთვის მზად ვარ.

- მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა მენდობა, მინდა კონსულტაციისთვის ერთ-ერთ პროფესორს მივმართო, მისი ჩამოყვანა უცხოეთიდან კი ძალიან ძვირი დაგვიჯდება, - პირდაპირ უთხრა ექიმმა.

- ფულის პრობლემა არ მაქვს, - გაეხარდა ბერიკაცს, - თქვენი სახელი?

- როლანდი მქვია.

- მე არსენი დამიძახე. რამდენია საჭირო?

- ბატონო არსენ, თქვენ ავადმყოფთან შებრძანდით, მე კი ყველაფერს გავარკვიე და მოგახსენებთ.

როლანდმა და არსენმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და...

ოც წუთში ექიმი პალატაში შემოვიდა. არსენმა ცრემლები დამალა და სკამიდან წამოდგა... დაიწყო ბრძოლა ნანას სიცოცხლის გადასარჩენად. მიწვეულმა კონსულტანტმა სანუგემო ვერაფერი უთხრა... ორი თვის განმავლობაში რა არ სცადეს, არაფერი შეცვლილა, სტაბილურად მძიმე, უკონტაქტო, უგრძობი. ერთ დღეს ჰოსპიტალის შეფმა როლანდს უთხრა: - უიმედო ავადმყოფია, თუ ასე გაგრძელდა, მაგ ბერიკაცს მშვიდ დავეტოვებთ. ურჩიეთ გამორთოს აპარატიდან. ეს დასასრულია.

- მაგას ვერ ვიზამ, ბატონო დირექტორო! მოკვდება კაცი, ის მეუღლის

გამოჯანმრთელების იმედი თლა ცოცხლობს.

- შენ გჯერა?
- უკვე აღარ, თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული არ ვარ.

- მსოფლიოს ლამის ყველა გიგანტმა გასინჯა და სანუგემო ვერაფერი თქვა! გირჩევ, დღესვე დაიბარე არსენი და...

- რა დაბარება უნდა. აქ ათენ-ალამებს, მის პალატაში, სახლში მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისთვის მიდის.

- ნახევარ მილიონზე მეტი დახარჯა ტყუილად. მე საქმიანი კაცი ვარ და მენანება, თუნდაც სხვისი ფული, გადასაყრელად.

როლანდი პალატისკენ საოცარი მღელვარებით მიდიოდა. არსენის დანახვა აღარ უნდოდა. მოხუცმა მოუსმინა, ნერწყვი გადაყლაპა და უთხრა:

- აპარატიდან არ მოვხსნი, ვიდრე სული მიდგას მეც და ამასაც. სახლში გადავიყვან. იქ იყოს მიერთებული. ნათქვამია, სახლში კედლებიც კი გეხმარება.

- თვლიან, რომ ამას აზრი არა აქვს, - ნაიჩურჩულა ექიმმა.

- შენ რას ფიქრობ, ჩემო როლანდ, ეს უფრო მაინტერესებს!

- თქვენ მართალი ბრძანდებით. მე მჯერა სასწაულების, - წელში გაიმართა ექიმი.

მოხუცი გადაეხვია მას, - მე კი შენი მჯერა, შვილო, ძალიან მჯერა...

ვერც სახლში ეშველა ნანას. საერთოდ არ შეცვლილა მისი მდგომარეობა.

ქმარი საათობით ეჯდა სასთუმალთან და ესაუბრებოდა. იხსენებდა ახალგაზრდობის ლამაზ დღეებს, გაცნობას, სიყვარულს, ქორწილს, მოგზაურობებს. ესაუბრებოდა ისე, თითქოს ნანას ესმოდა, არსენი ოხუნჯობდა, იცინოდა, ზოგჯერ ხარხარებდა კიდევ. მხოლოდ მაშინ მოიწყენდა ძლიერ, როცა ტრაგიკულად დაღუპულ ერთადერთ შვილზე ესაუბრებოდა. რეზი გამორჩეული ბიჭი იყო.

სტუდენტობისას უკვე ცნობილი ტელესახე და პოპულარული ჟურნალისტი ხალხსაც ძლიერ უყვარდა, ერთი რაც აკლდა და მშობლებსაც აბრაზებდა, ცოლი ვერ შეირთო. არ ეჩქარებოდა, არადა ოცდაათს გადასცილდა. მერე ალპინიზმმა გაიტაცა და იქცა კიდევ მის ბედისწერად. მთებში დაიღუპა. ცხედარი ორი კვირის შემდეგ იპოვეს. იმ დღის მერე ცოლ-ქმრის ცხოვრებაში მხოლოდ შავი ფერი დარჩა. დანარჩენი გაქრა უკვალოდ. იყვნენ ასე, უმოძრაოდ. ნანა ზოგჯერ გავიდოდა ხოლმე რალატების შესაძენად. არსენი კი შინაყუდა გახდა.

თავისი ბიზნესი პარტნიორებს გადააბარა, რომლებიც პატიოსნად აძლევდნენ ნილს, თუმცა დამხარჯავი ვინ იყო. კომუნალურებს იხდიდნენ და სურსათს ყიდულობდნენ, არც მოგზაურობები, არც ნათესავ-მეგობრები. ისინი ცალკე დარჩნენ და მსოფლიო - ცალკე. მერე ნანას მანქანა დაეჯახა და უკვე მეორე წელია, არსენი საწოლთან ეჯდა. ექიმი თუ მოვიდოდა ზოგჯერ, ავადმყოფს დახედავდა, აპარატურის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდა. ბოლო თვეებში არსენს ლაპარაკიც მოებზრდა, ცოლს ხელს დაადებდა და ფიქრებში ესაუბრებოდა უკვე...

ზაფხულის ერთ დღეს... 9 აგვისტო იყო. კარზე ზარი დარეკეს. ზარი ამ კარზე, ლამის ორი წელია, არავის შეუწუხებია. ექიმ როლანდს თავისი გასაღები ჰქონდა, არსენმა კარი გაა-

ღო. მაღალი, გამხდარი, ორმოცს გადაცილებული ქალი იდგა მის წინ, თუმცა მას არ მიუპყრია ყურადღება. ქალს გვერდით 10-12 წლის ბიჭი ედგა. არსენმა როგორც კი შეხედა, ლამის გული გაუჩერდა. ეგონა ახალგაზრდობაში დაბრუნდა. „კი, ის იყი, ის!“ არსენი მუხლებზე დაეცა და ამოიხავლა: - ღმერთო, გეხვეწები, ოღონდ ახლა ნუ მომკლავ! სულ მინდოდა სიკვდილი, იცი შენ ეს. ახლა კი გეხვეწები, ნუ მომკლავ, რეზი, გამარჯობა, ბაბუ!

- გაგიმარჯოს! დედა, გესმის, ეს ბაბუ გულთმისანია, მიხვდა, რომ რეზი მქვია...

როცა არსენი გონს მოვიდა, ლოგინში იწვა: „ღმერთო, ეს რა სიზმარი ვნახე. ნანა, ნანა!“ ისე დაუძახა, თითქოს არ იცოდა, რომ ვერ გააგონებდა. სხარტად კი ადგა, მსუბუქად, რამ დამაძინა ტანსაცმლიანად, გაიფიქრა და ნანასთან შევიდა. ნანა საწოლზე იჯდა და პატარა რეზის ესაუბრებოდა.

- ღმერთო, თუ ეს სიზმარია, აღარ გამაღვიძო და თუ ცხადია, ჩემსავით არავინ გყვარებია ცისქვეშეთში! - შებღავლა სასოებით.

- ბაბუ, რა უცნაურად იქცევი? - გაუცინა ბიჭმა, - აგერ ბებიას ეძინა და ჩემს მიკარებაზე გაეღვიძა, შენ კი ჩემს დანახვაზე ხუთი დღეა გძინავს.

ოთახში ექიმი როლანდი შემოვიდა და არსენს გადაეხვია.

- ამდენი არ მიტირია ჩემს სიცოცხლეში, - როლანდი ახლაც ტიროდა, - ამ პატარა მაიმუნმა შეძლო ის, რის წინაშეც მსოფლიო მედიცინა უძლურია.

ოთახში რეზის დედა შემოვიდა:

- მე და რეზი დაქორწინებას ვაპირებდით. უკვე ხუთი თვის ფეხმძიმე ვიყავი, მერე აიტეხა ექსპედიციაში წასვლა და დაგვლუპა.

- ამდენ ხანს სად იყავი, შვილო? - იკითხა არსენმა.

- რეზიმ ლამის მეც მომკლა. დიდხანს ვიყავი ავად. ფსიქიატრიულში გავატარე შვიდი წელი. ბავშვს ჩემი მშობლები ზრდიდნენ და ელოდებოდნენ ჩემს გამოჯანმრთელებას. მერე კიდევ შემინოდა, არ გეფიქრათ, რომ გატყუებდით და შვილს, თითქოს თქვენი ქონების ხელში ჩასაგდებად ვიყენებდი, მაგრამ ეს ბოლო წელიწადია, რეზი ისე დაემსგავსა მამას, არავითარი ანალიზი აღარ არის საჭირო. თუმცა მაინც გავაკეთე. როცა თქვენი ამბავი გავიგე, ნანას ავადმყოფობა, მოვედი. თქვენ მე კინალამ მოგკალით. მადლობა ღმერთს! ყველაფერი კარგად დასრულდა!

- ნანა, შენ როგორ მობრუნდი?

- ბებო მე გავაღვიძე, - თქვა ბიჭმა, - როგორც კი ხელი შევახე, თვალეზი გაახილა და წამოჯდა. ძია ექიმს კი შეეშინდა და...

- ხო, შემეშინდა და აქვე საწოლთან გავიშხლართე. ეს კოპი მაშინდელია. მაღე კი გამიარა, თან შენ მყავდი მისახედი. ახლა კი ნავალ, ხელს აღარ შევუშლი თქვენს იდილიას.

- ფეხსაც ვერ მოიცვლი. დღეიდან შენ ჩემი შვილი ხარ, ჩემი რეზის ნათლია უნდა გახდე. ნანა, ხედავ, უკვე რამდენი შვილი გყავს და ჩვენი მთავარი გვირგვინი, აი, ეს ყმანვილია...

და რეზის ჩახეხტა.

- არა, გვირგვინობას ისევ შვილიშვილობა მირჩევნია. ბებო, აბა, გააგრძელე მოყოლა, მამაჩემზე ყველაფერი მაინტერესებს.

ზაალ ნემსაძის სახელი ორი ათეული წლის წინ გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე.

პირველივე წიგნებით დაგვამახსოვრა თავი.

თავდაპირველად გავიცანი თ როგორც გამოცდილი პუბლიცისტი, მართლმადიდებლური წყაროების ჩინებული მცოდნე და კინოსცენარისტი.

ჭეშმარიტი ნიჭი ყველა ამ სფეროში აშკარა იყო და ზაალ ნემსაძე დამახსოვრებულად გახდა მწერალთა კავშირის წევრი, ცოტა მოგვიანებით კი ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიაც დაიმსახურა.

თურმე აქამდე გამოქვეყნებული მისი ხუთიოდე წიგნი პრელუდია იყო ჭეშმარიტ პოეზიაში შესაბამისად.

აქამდე პროზის ჟანრებისთვის თავი არ ეღირსებოდა.

დიდხანს ემზადებოდა იმ ურთულეს ფენომენთან შესაჭიდებლად, რომელსაც ნოველა და მოთხრობა ჰქვია.

ცხოვრებას მწერლის თვალით აკვირდებოდა, ცდილობდა საინტერესო ამბები გაეტარებინა; მერე ჭეშმარიტი ოსტატის რუდუნებით სათქმელი გაჭიანურების გარეშე მოკლედ და ლამაზად ეთქვა.

და ახლა, ჩვენდა სასიამოვნოდ, მან ჩათვალა, რომ პირველი პროზაული ნადავლი, მართალი ნოველების წიგნი - „ნუ მიმატოვებ“ მკითხველის სამსჯავროზე გამოეტანა.

ძვირფასო მკითხველო, გულდასმით წაიკითხე ეს წიგნი.

თუ ლიტერატურისა რამე გამეგება, დარწმუნებით გეტყვით, რომ შიგ, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენს ცხოვრებას აღმოაჩენ - ჩვენს ტკბილ-მწარე ცხოვრებას, ყოველდღიური პრობლემებით და ტკივილებით საცხეს.

კრებულში თითქმის ყველა ნოველა საინტერესოა, ზოგი კი თავისი სრულყოფილებით კლასიკურს უახლოვდება (მაგალითად, „შეხვედრა“, „ნუ მიმატოვებ“, „მარიამ, მიყვარხარ“ და სხვა).

აქვეა ორი შთამბეჭდავი დოკუმენტური მოთხრობა „მადლი“ და „გარეჯი“. პირველი იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ ჩავიდა ცკ-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატი-აშვილი მინისძერით დანგრეულ სპიტაკში მოძმე ერის საშველად, ხოლო მეორე იმავე პერსონაჟის მიერ ისტორიული გარეჯის დასაბრუნებლად განუხლ რუდუნებაზე ღალადებს.

შთამბეჭდავი სიუჟეტები, ზუსტი დიალოგები, სხრატი, მიმზიდველი თხრობა - ის საშური თვისებებია, რაც ზაალ ნემსაძის ამ ახალი წიგნის გამარჯვების გარანტიად გვესახება.

P. S. ამ წიგნისთვის ზაალ ნემსაძეს მიენიჭა ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემია.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

გამოვიდა ცნობილი დიპლომატიისა და მეცნიერის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ ზურაბ ხონელიძის წიგნი „მშვიდობის ქართული პარადიგმა“. იგი უაღრესად საჭირო გამოცემაა. ნაჩვენებია დროებით დაყოფილი, პოლიტიკურად დასწავლული და ზნეობრივ გასაჭირში ჩავარდნილი ეროვნული სხეული, რომლის საუკეთესო მომავალს ავტორი მხოლოდ ორგანული მთლიანობის მიღწევას უკავშირებს. იგი მიიჩნევს, რომ ობიექტურად უნდა შევადგასოთ გლობალიზებულ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და გადავდგათ დროის შესაფერისი ნაბიჯები. წინასწარ იტყვობაში აღნიშნულია: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლექციათა კურსის კითხვისას ავტორი დარწმუნდა, რომ სტუდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ცოტა ან თითქმის არაფერი იცის ათწლეულობით დაგროვილი პრობლემების შესახებ. ის, რაც მათათა თაობისთვის საყოველთაოდ ცნობილი, თითქმის გუშინდელი მოვლენებია, მათთვის შორეული ისტორიული წარსულია, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს დღევანდელობასთან“.

როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა ბიძგი, რათა მკვლევარს სტუდენტების და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის შეექმნა ასე მშვენიერი ნაშრომი და მიენოღებინა მათთვის დღემდე უცნობი ფაქტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ წარმოდგენილი 90-იანი წლებიდან დღემდე განვითარებული მოვლენების მეცნიერული და მიუკერძოებელი ანალიზი. როგორც ცნობილია, ქართული სახელმწიფო სამ ათწლეულზე მეტია მოძრაობს ისეთ წრეზე, რომელიც აცდენილია და არ შეესაბამება ქვეყნის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, კულტურულ-ცივილიზაციურ, გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს. თუმცა ესეც უნდა ითქვას: ავტორი არ ახდენს პრობლემის დრამატიზებას და აღნიშნავს, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს; ფიქრობს, კითხვებზე პასუხები ჩვენგან შორს კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ – ჩვენში: საკუთარ აზროვნებაში, ქვეყნის როლის ახლებურად გააზრებასა და მისთვის დამატებითი ფუნქციის შექმნის აუცილებლობაში. საამისოდ კი აუცილებელია „მართლის თქმის“ შიშს გავემიჯნოთ. ჩვენი აზრით, ავტორი სავსებით სამართლიანად სწორედ აქედან იწყებს ოცდაათწლიანი წარუმატებელი ეპოპეის შესწავლა-გადმოცემას. ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია ქართული სახელმწიფოს ყველა იმ სუბიექტის პოლიტიკურ ნებაზე, ცოდნაზე, ხედვასა და მის სწორ გამოყენებაზე, რაზეც დამოკიდებული იყო ქვეყნის ბედ-იღბალი. ავტორი სიღრმისეულად ხსნის ჩვენთვის ჩვეული უცნაური და პირისპირებების მიზეზსა და ხასიათს. როდესაც ამ ომის გამომწვევ მოვლენებსა და მიმდინარეობას მიზეზ-შედეგობრივი თვალთახედვით განიხილავს, როდესაც ყურადღებას ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ამახვილებს, ხაზგასმით აღნიშნავს: ნებისმიერი ერი ძნელად თუ ეგუება ან ხშირად საერთოდ ვერ ეგუება დამოუკიდებლობის დაკარგვას. საქართველოს ისტორიაც დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა.

რუსეთის მმართველობამ ერთ ხანს ჩვენს ქვეყანას მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კვლავ გააერთიანა. კიდევ მეტი, ფიზიკურად გადაარჩინა კიდევ. მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავინყდეს: ყოველი ქართველის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის-

მშვიდობის სასურველი პარადიგმა

ტორიის ფალსიფიკატორებს დღემდე სურთ რუსეთი წარმოაჩინონ, როგორც „მშვიდობის მტრედი“. ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ივინყებენ 1956 წლის 9 მარტის, 1989 წ. 9 აპრილის მოვლენებს. ზურაბ ხონელიძე მათ პასუხს სცემს ფაქტებისა და მოვლენების ენით. იგი წერს: „პუტინის ეპოქის სიმბოლო – მშვიდობის მტრედი – გაგრის სტადიონზე ტანკით გასრესილი ეგდო“. ავტორის თვალსაზრისში ექცევა „ცივი ომის“ პერიოდში მიმდინარე არაერთი მოვლენა, უფრო მეტიც, იგი მათი შესწავლის შედეგად აყალიბებს მკაფიო დასკვნებს „ცივი ომის“ ეპოქაზე. მკვლევარი „ცივი ომის“ დასრულებას სავსებით სწორად უკავშირებს ბერლინის კედლის დანგრევას. ახლა დავუბრუნდეთ წიგნის სათაურს „მშვიდობის ქართული პარადიგმა“. დიპლომატმა მრავალმნიშვნელოვანი კითხვა წამოაყენა: იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი სამშობლო ფაქტობრივად იმავე სიტუაციაში დარჩა, როგორშიც იყო მსოფლიო 1946-1990 წლებში, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის უმწვავესი რეაქციისა, ხომ არ დასრულდა ყოველივე ეს დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ „შემწყნარებლობით“? ამ კითხვის პასუხი მკითხველისთვის ნათელია! ეხება რა დღეს საქართველოში არსებულ მწვავე პრობლემებს, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებელია ჩვენს საზოგადოებაში არსებული „ცივი ომის“ დასრულება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანების გადაწყვეტა. ამდენად, სრულიად რეალისტური პოზიციიდან გახლავთ წარმოთქმული მიხაკო ორაგველიძის ფრთიანი ფრაზა: „მშვიდობის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ომისა“. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მშვიდობის ძიების აუცილებლობას და ამ მიზნით იხსენებს მკვლევარი ძველ ქართულ საგანმანათლებლო სისტემასაც. ამის შემდგომ ყოველი საკითხი განხილულია სადიპლომატო ისტორიის ჭრილში. ავტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: ძველი ქართული და უცხოური სასიტორიო წყაროების მიხედვით, საქართველოში დიპლომატიური საკითხებისა და პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება იყო საგანმანათლებლო ცენტრები. ცალკე-ერთი ისინი ხელს უწყობდნენ განათლებისა და მეცნიერების განვითარებას და, მეორე მხრივ, არეგულირებდნენ მრავალმხრივ ურთიერთობებს. ნაშრომში მოყვანილია არაერთი მაგალითი საქართველოს ისტორიიდან, იმის შესახ-

ებ თუ როგორ ამყარებდნენ ჩვენი წინაპრები სამეზობლო ურთიერთობებს; როგორ იცავდნენ მშვიდობას განათლების საშუალებით, თუმცა ასევე აღნიშნულია, რომ საბჭოთა იდეოლოგიამ ამ მხრივ უარყოფითი გავლენა იქონია განათლების სისტემაზე, ასევე ქართული უნივერსიტეტის ცალკეული დარგების განვითარებაზე, რომ ის ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან ამოავდო.

ამან კი გამოიწვია ქართული ნაციონალური უნივერსიტეტების კრიზისი. იგი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს დაიწყო და დღემდე გრძელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ახალი კონცეფცია, ახალი ხედვა და სტრატეგია ქართული საუნივერსიტეტო სივრცისა. ამ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მექანიზმი, შესაძლოა, გახდეს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ფორმატი. ქართული სახელმწიფოს ფუნქციონირება, მისი კეთილდღეობა, სტაბილურობის უზრუნველყოფა, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება მოითხოვს სათანადო სტრატეგიული გეგმის შედგენას, რომელიც თავისი სისტემურობითა და თანმიმდევრულობით გააჩენს შესაძლებლობას, დაასაბუთოს ერთიანი სივრცის საჭიროება, მათ შორის, გარე სამყაროსათვის; შეძლებს აღადგინოს ან შექმნას ახალი სრულფასოვანი დემოკრატიული სივრცე; აქციოს ჩვენი ქვეყანა მტკიცე მულტიეთნიკურ სახელმწიფოდ, რაკილა ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური სოციალ-კულტურული ურთიერთობების გზაა. იგი დღეს გადის განათლებაზე, კერძოდ კი მის უმაღლეს მწვერვალზე – მეცნიერებაზე. მართალია, უნივერსიტეტის მიზანი საერთო ევროპულ სივრცეში ორგანული ინტეგრირებაა, მაგრამ მის ამ უმთავრეს საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად დგება ამოცანა, რომელმაც გამოკვეთა მიზანი – „ნეგატიური მშვიდობიდან“ „პოზიტიურ მშვიდობაზე“ გადასვლა. ეგ კი უნივერსიტეტი-საგან მოითხოვს თვითრეგულირების უნარის შენარჩუნება-განმტკიცებას, მშვიდობის სწავლებას, აქტიური სუბიექტის იდეა-სტრატეგიის შემუშავება-დამკვიდრებას და ჩვენი უპირველესი პრობლემის – კონფლიქტების – მოსაგვარებელ კონკრეტულ ქმედებებს. ავტორის ღრმა რწმენით, „საუნივერსიტეტო დიპლომატიას“ აქვს საკმარისი რესურსი, იქცეს მშვიდობის სწავლების იმ მეთოდად, რომელიც ქართულ სახელმწიფოს გაუჩენს დამატებით შესაძლებლობას, დამატებით სამოქმედო არეალს. ვფიქრობთ, ამით შესაძლებელი გახდება ახალი სამშვიდობო სივრცის ფორმირება, ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების დღემდე აუმოქმედებელი ერთიანი მოდელის ამოქმედება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ეკისრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს: მისი მთავარი სამოქმედო ხაზი „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ პოტენციური შესაძლებლობების გააზრებაა. ნაშრომის დასკვნით ნაწილში საუბარია ისეთი

მოდელის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის გააზრების აუცილებლობას, თვითგანახლებადი კონფლიქტების დარეგულირებასა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას. აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საგანგებო პოლიტიკის გატარება, რათა საზოგადოების ყველა დონეზე და ყველა სფეროში შეიქმნეს პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესაბამისი გარემო. აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ აფხაზეთში როდი წყდება, ის წყდება საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში, თითოეული აფხაზისა და ქართველის გულსა და გონებაში. ავტორი აღნიშნავს: როგორც აფხაზმა, ისე ქართველმა ხალხმა გაიცნობიერა, რომ ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული არ არსებობს და აუცილებელია დაპირისპირებულ მხარეთა შორის თანხმობის მიღწევა. მშვიდობის დაუმყარებლად შეუძლებელია ქვეყნის განვითარება, პრობლემის ძალადობით გადაწყვეტა კი მხოლოდ დროებითი და მოჩვენებითი სიმშვიდის გარემოს ქმნის. ამ ვითარებაში საზოგადოების დესტაბილიზაცია ყოველნამსაა მოსალოდნელი. ყველაფერი ეს ასეა, ოღონდ ისიც ცხადია, რომ თანხმობის ჩამოგდების აუცილებლობის შეგნება როდია საკმარისი. მშვიდობის დამკვიდრებისკენ მიმავალი გზა წინააღმდეგობებით არის ჩახერგილი. ზ.ხონელიძის წიგნი ძვირფასი შენაძენია როგორც დიპლომატიის, ისე პოლიტიკის სფეროში. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომის მიმართ დიდ ინტერესს გამოიჩინენ პოლიტიკური წრეები, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკური და დიპლომატიური აზროვნების დეფიციტს განიცდის.

გერმანელი მოაზროვნე ფრიდრიხ ჰეგელი წერდა: არც ხალხებსა და არც მთავრობებს არასოდეს ისტორიისაგან რაიმე არ უსწავლიათ და არც როდის მოქცეულან იმ მოძღვრებათა შესაბამისად, რომლებიც ისტორიული გამოცდილებიდან გამოუტანიათ. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია თანამედროვე საქართველოსთვის. სწორედ ამაზეა ყურადღება გამახვილებული ზურაბ ხონელიძის ნაშრომში „მშვიდობის ქართული პარადიგმა“, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უნდა შევეშვათ ისტორიის ცალმხრივ ხედვას, ოდენ საკუთარი არშინით ზომვას, მხოლოდ ჩვენი გასავლელი გზის განმენდას.

წიგნი მშვიდობის მშენებლობის შესახებ დაწერილია მიუკერძოებლად ცივი გონებით. როგორც ავტორი აღნიშნავს, ყველა იდეას, მათ შორის ამ იდეასაც, რომელსაც ცხოვრება თავად სრულყოფს, გამოუჩნდებიან მომხრეები და კრიტიკოსები. ეგ წიგნის ავტორს სულაც არ აწუხებს. ის მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა შენიშვნას, მოსაზრებას, რეკომენდაციას. კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ პროფესორ ხონელიძის წიგნი კარგი შენაძენია ამ პრობლემით დაინტერესებული სპეციალისტების, მით უმეტეს სტუდენტებისათვის.

ჯემალ გაბელია, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე



დალი კახიანი

ალგეთის ლაკვით ჯიჟისანო!

ბიჭებო, შინდისის ბიჭებო, ალგეთის მგლის ლეკვით ჯიჟისანო, გულში ჩანყლულულ ხინვებო, შიშს რა ესაქმება თქვენსაო.

ბექდაუდებელ ფალავნებს ბედკრულ ჯავრნაჭამ მტრისაო, ფერდებჩალენილ გალავნებს ბური ავარდა მტერისაო.

წუხელის მეუძინარა ხმა მესმა აწწუხელიძის - სწორდით, ბიჭებო, სწორდითო, შიშს რა ესაქმება ჩვენსაო, ჩვენ ხომ მგლის ძუძუს ვწოვდითო.

ვეფხვებო, ივერთ მოდგმისა, ვერხვები აღარ მცინარობენ ხმა მზაფრავს ქალშავას მოთქმისა თქვენზე ლეგენდებს ამბობენ.

ჩამოფხავებულ მამულში სად ფინიებიც მამრობენ, სამშობლოს მოესაკლისეთ, ხომ დაგვჭირდებით ხვალ ისევ.

სულის ფიორდებს ფხაჩნიან სვავები ტვიფრად აჩნია შინდების ლაქა, ვაი-თუ წამო, არ გამეორდები, ბობრების ნაგრამს არ ამოსდებ ლაგამს.

თქვენი ნახვა რომ მოგვშივა ფეხს ვაბჯენთ თქვენს ალაგებზე, ფაფხურობს ვილაც გოშია, ტაროსი ავობს ალგეთზე.

ბიჭებო, შინდისის ბიჭებო, სამშობლო გიხმობთ, სწორდითო, შიშს რა ესაქმება თქვენსაო, თქვენ ხომ მგლის ძუძუს წოვდითო.

სამთა ერთობა

ვუძღვნი საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს - ილია II-ს

ან და მარადის! უფალია უზენაესი. დრო მარდად მარცვლავს წამწუთობს. მარაგი რად უნდის სანუთროს თავად უღევი არსია პირალუფსები თასია.

ან და მარადის! სამშობლოა უზენაესი არ ეჭირვის დიდი მისნობა, რომ არ ეგების უიმისობა. უსამშობლოო ეულობს, ობლობს, ბურჯია, ფესვია, ყლორტია ვაზისა

უზენაესის ბექედი აზისა.

ან და მარადის! შვილის ფარად ის დედაა უზენაესი. სულთქმაა, ფიქრია, კოკობი აისის. იგია სანყისი, იგია განგრძობა, მედგარი ნება, იმედი, სულთქმა, თვალის ახელა და ამოსუნთქვა.

გულს თაკრავს ლხენით სამთა ერთობა, მალლით ღმერთობა, სამშობლო დაბლით ოჯახში დედის ერთადერთობა.

კაცსა და უფალს შორის მავალი, წარმოგზავნილი შუამავალი არს პატრიარქი. ყველას მამად და ყველას ნათლიად ცოდვილ მინაზე ვლენილი ამაღ, ყველას ჯვრის მზიდი მისია დიდი მას დაეკისრა ცათა ბარათით, ძალმოსილება მიეც უფალო, ან და მარადის!

„დედაჩემი გიყვარდათ“

მსმენია, რომ რჩეულებს და უარებს არ ჩვეულებს, დედაჩემი გიყვარდათ, თურმე მის მზეს ფიცულობდით, ზოგჯერ ლექსსაც უძღვნიდით, გულში ჩუმიად ლოცულობდით, ეგებ დიდხანს უცდიდით, მეტრფე ვარდ-ასულებს, მე არ ვიცი დღეს სად ხართ, ალბათ გარდასულები, თავის დროზე ვერ შეწვდით, გრძნობა არის თილისმა, ლამაზების თაიგული, კონად შეკრა თბილისმა, ვილაც მღერის, თვალს მინამავს, ო, რა მწველად ტირის ხმა, თქვენ არ შეცდით არჩევანში, დედა იყო მშვენება, განგება ხომ ჯადო არის, რას დაყვება შენს ნებას, გადმოცემით ვიცი თურმე, დედაჩემი გიყვარდათ, ვარდს ფურცლები შეჭკნობია, იმ ვარდმა ვერ ივარდა, ეხლა რაღა, დრომ წარხოცა წრფელი ხვაშიადები, შემდგარი თუ შეუმდგარი მწველი გულის ნადები, დედაჩემი აღარ არის, აღარც თქვენი ლანდები, დრომ თავისი გაიტანა, ვერ იმძლავრა თილისმამ, ლამაზების თაიგული დაიტირა თბილისმა, ვილაც მღერის, თვალს მინამავს, ო, რა მწველად ტირის ხმა, ხდება ასეც, რა ვუყოთ რომ იმ ვარდმა ვერ ივარდა, ეხლა უფრო გულთან მყავხართ, დედაჩემი გიყვარდათ.



დავით ტიგინაშვილი (ივრისპირელი) – 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით შალვას ძე ტიგინაშვილი (ივრისპირელი). ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

მისალმებაში ნათქვამია: ჩვენო ერთგულო მეგობარო! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს, ჩინებულ შემოქმედსა და მოქალაქეს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

არაა შემთხვევითი, რომ თქვენს პირველ ლექსს, 1984 წელს რომ გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ერქვა „საქართველოს“. მას შემდეგ განვილილმა ათწლეულებმა ცხადყო, რომ თქვენი სახით ჩვენს საესავ სამშობლოს მართლაც რომ უღალატო ჯარისკაცი ჰყავს, რომლის მთელი შემოქმედება, თითოეული სტრიქონი ივერთა მიწის საგალობელს წარმოადგენს, იმ მიწისა, რომელსაც ასე უღალატოდ, რწმენით და სასოებით ემსახურებით.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ვაზის ქორნილი“, „თუშური ჰანგის წკრიალი“, „თუშ-ფშავ-ხევსურული მოტივები“, „ვაზისა და სიყვარულის სიმფონია“, „მატიანური“, „მრუდე ვაზების ჩამონაწერი“, „გულიდან ამონამღერი“, „მუზ-

ჩამოღვით!

გილოცავ სამოცდაათს. ქართული პოეზიის ერთი კოლორიტი ხარ. შენი ღრმადპატრიოტული პოეზიით სულში წვდები მკითხველს და ისე იმედიანად ალაგზნებ, რომ სასონარკვეთილიც კი ხმლის ვადისკენ გააპარებს ხელს.

სხვანაირად ვერც წარმომიდგენია, შენ ხომ დიდი გოგლას მეზობელი და მისი რაინდული პოეზიის ღირსეული მემკვიდრე ხარ.

ლექსი ხომ ღონიერი და მშვენიერი გაქვს, როცა მსმენელს წარუდგები ხოლმე, რაღაცნაირი, შენეული ინტონაციით, შინაგანი ექსპრესიით და მელოდიურობით იპყრობ აუდიტორიას, სტრიქონებს ხმის თავისებური ათრთოლებით და რითმებისთვის ტანის აყოლებით გვანვდი.

სამოცდაათი შუახნის ასაკია. მით უმეტეს შენნაირი ქედუხრელი და ჭირ-ლხინში გამოუფეგილი კაცისთვის.

ღმერთმა ჰქნას დიდხანს გაისმოდეს შენი ომახიანი ხმა ქართულ პოეზიაში.

რევაზ მიშველაძე

დომენტი სოზაშვილი

დაბადების დღე

ეს დაბადების დღე დადგმულად, მოწყობით აღარ მინდა. ჩვეულებრივი დროა მიმდინარე, ჰოდა, ჩვეულებრივად იყავ.

გაზაფხულზე საქმის მეტი რა არის, ნადი საქმისთვის და იქ თუ ხასიათზე მოხვალ, წამოდი შენს ახლობელთან სუფრისკენ.

ამათაც კიდევ ხომ სულ მოცლაბა არა აქვთ და სადღეისოდ, როგორც იქნა, საჩემოდ მოიცალეს. გადადეს ერთი-ორი დღე სახვალად. მაინც ამ დღეს, უკეთესია, რაღაც განსაკუთრებული გავაკეთოთ, საჩუქრად რო დარჩებაო.

ადრე ოთხტონიანი ავზი რო ჩავდგი ვენახის თავში, იმან წყლის გაშვება დაიწყო. აი, ეს შევლესოთ-მეთქი. უწყლოდ აქ რას მოიყვან. რამდენი ხანია წესიერი მოსავალი აღარ ვიცი. არადა, რა მინა ეს ჩვენი დალოცვილი!..

ჰოდა, ჩავიტანეთ მანქანით ტომრებში ჩაყრილი წერილი ხრეში, ცოტა მოყვითალო ლამი, ერთი „პაჩკა“ ცემენტი, ერთი ნებოცემენტი, ორი ოცლიტრიანი პლასტიკის მთოვით წყალი; წავიღეთ ბარ-ნიჩაბი. ვასიკო ხელოსანმა ჩადო ტაშტი დულაბისათვის, ქაფრა, ვედრო დაგვავიწყდა და ამისთვის კაი ამბავიც დაგვეწია. კახას, იმის შვილს, გასაცრელი ცხრილი უჭირავს. ჩამოვიღეთ ყველაფერი და ზაზამ, მანქანის პატრონმა, ვიდაცები უნდა მოვიდნენო ზემოთ და სანამ თქვენ გააკეთებთ, ჩამოვალ. იქამდე ავზს დახედა - ეს რა კარგი გქონებიათ, აქნობამდის როგორ არ ვიცოდით... გვერდით ეს ამსიმაღლე კვინელის ხე უდგას, თან რა კარგად არის ახლა აყვავებული... ეს ამოდენა ლეღები ფარავენ გარემოში, ეს შვინდარწლები აქ სადაც წყალი დგება. რა გინდა, ზაფხულში კაი სიგრილე ჩადგება, თან მოირწყვება, თან კაი გაციებული ლუდიც შეიძლება. მაგრამ რეები ძირში, - არაფერი თქვა, ჩუმად-მეთქი.

- ოჰო, ეს რეები დალოდავენ აქ. ეტყობა კუთა საპრობილე გქონიათ აქამდის. - ახლა ბასეინში ჩამხტარმა ვასიკომ შენიშნა ძირს ორი კუ. კახამაც ჩაჰხედა ინტერესით. „როგორ თვალგადმოკარკლული დადიანო“, ესა თქვა მიყურებით.

- სიურპრიზად დაგახვედრეთ, აქ მოვათავსე; რა მექნა, ლობიოებში ვნახე ეს მავნეები, კინალამ ორი მეტრი ჩაეკუნათ ახლად ამოსული ლობიო. აქ ჩავსვი და ბალახის მეტი რა არის, შიგ ჩავუყარე, მე შენ გეტყვი, არა ჭამენ, თუ რა... თითქმის აღარც დარჩენიათ, ხო ხედავთ, რაღა ეს ნუგბარი ვაფუჭებინო, ჯერ ახლა გავთოხნე...

- როცა აღარაფერი ექნება, ვირი ხომ წალამსაც კარგადა კორტნის ხოლმე, ესენიც მამ რას იზამენ, მაგრამ ერთი თვე მაინც ხომ უნდა ლობიოს მოლევას და ესენი აქ ეგრე უნდა იყონ?!

- რა ვუყოთ, მამ. აქ ახლო-მახლო აღარავინ თესავს ლობიოს. ესენი კიდევ ახალ, ნორჩს ეტანებიან, ეს უყვართ. ეს კი არა, მერე სხვებს ასწავლიან, მოუძღვებიან აქეთკენ, თუ რა არი. მე მარტო მუშაობა მრჩება ხოლმე... არადა, ახლობაში ეს უფხო ლობიო რა მართლა კარგია! მერე მეორე გათოხვნის შემდეგ წითელი და გურული ლობიოები რომ შემოვა, იმათ რა სჯობია...რა უჭირთ, ცოტა ხანს ისხდებიან, ეგრე სხვა ბალახებზე გადაივლიან და მერე გაუშვებთ. ბოლომდე არა მყვანან, რად მინდა, გამხმარ-გახეშეშებული აღარ უნდათ ხოლმე, მერე სადაც უნდათ იქ წავიდნენ, რაც უნდათ ისა ჭამონ..

- მოიცა, მოიყვა! ეს ჩანთა სწორედ მაგათთვის წამოვიღე. ჯერ აქ ჩამოვიკიდებ, მერე ქვემოთ თაღარში გადავსვამ ამათ. მაინც აღარ ვხმარობ, სულ ტრაქტორითა

ვნამლით, - ნაიყვანე და ვენახის თავზე, კაი სიმაღლეზე ჩამოვიკიდე.

მანქანა წავიდა. ჩვენ ჯერ კარგად შევჭერთ მისასვლელში. მერე ბასეინზე გადასული ტოტები მოვაშორეთ და გაგვიხურდა მუშაობა.

ჩვენ ვემსახურებით, ვასრულებთ ოსტატის მოცემულ დავალება-ბრძანებებს. მიდის საქმე.

მაისია ახლად მოსული. ერთი კვირის თუ იქნება მოფრენილი ბულბული, მაგრამ უკვე ყველგან უსტვენენ. გამეფებულ სიმწვანეში ხანდისხან მერცხლების ურთიერთშეყიწინება ისმის.

ბედნიერებაა ამ ღონიერ მინაზე წყლის დგომა საიმედო რეზერვუარში. როცა უჭირს ნათესებს - ლობიოს, კარტოფილს, ხახვს, ნიორს, პომიდორს... რა მაღლია ხოლმე წყლის მიშველება დროზე მათთვის. ეს ის ცოტაა, რაც ასე აკლია ხოლმე ბოლოში მოსავალს, ჩვენი, მინის შვილების მიწიდან სარჩოს მოსაყვან შრომის გამართლებას - შეძლებით, სიუხვით ყოფნისათვის.

- კაცო, გასამტერებლად ჩამოვედით აქ?! დროზე მოიტაო ეს დუღაბი, ერთი... შინ დროზე არ მივიდეთ? არ ჩავატაროთ სუფრა? იქ გინდა იფიქრე, გინდა იმღერე... გინდა ესა თქვი, გინდა ის... სხვა რო არაფერი, ხალხი რას იტყვის - დაბადების დღეს მუშაობა - ამოგანგულულობაში ატარებენო...

- ხალხო, მოდით ნახეთ, ეს ოხერი კუები გაგვექცვიან. გამოუგლეჯიათ თუ გამოუჭრიათ ეს ჩვენი თეთრი ჩანთა და ამ სიმაღლიდან გადმოშვებულან! ეგრე სწრაფად კიდევ როგორ წავიდნენ.

- აქ ახლო-მახლო აღარსადა ჩანან... კუ დაუძახე შენ ახლა ამათ.

- მამ რა გეგონათ, თავისუფლება ამათაც სდომებათ, საითაც უნდათ იქით წავიდნენ... ერთი შანსი მივეცი და მაშინვე თავს უშველეს, - იცინის ვასიკო, - ახლა აღარც შენი ლობიო უნდათ და აღარც შენი ჩაყრილი ბალახი. ეგე, გამოყვეს ფეხი და აბა, დაენიე - ვინ იცის საით მოუსვეს. რა ქნან, სიცოცხლე რო თავისუფლებათ. ჩაპატიმრებულიებმა კარგად გაიგეს...

- დღეს ხომ თან წმინდა გიორგის დღეცა გვაქვს!.. აჰა, ვრჩებით საქმეს და ახლა მართლა მოვედით თავისუფლების ხასიათზე. წმინდა გიორგი, უფლის ყოვლისმძლე მხედარი, საქართველოს სულ მოქომაგე-მოამაგე ხომ ჭირთა თმენით, მამაცობით, როგორც უნდა, ისე ყოფნით გვიბოლავს, ჩვენობს!..

- თუ ესე წმინდა გალესილიდან თუნდა ერთი წვეთი გავიდეს, მე არ ვიყო მართლა ქეიფის ღირსი!.. ახლა ეგ როდის მოვა თავისი ჯაბახანით... ეს ხარახურები დავტოვოთ და მოვა. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ - ამ ვენახის მოყვანილი-დაყენებული ღვინო ახლა ჩვენთვის ალალია. წავიდეთ - მამალი მოიხარშაო, ჩაქაფულიო, სამწვადე მოვაო, რაღაცები ხომ თავის თავად და ჩვენ რაღა გვინდა ამაზე მეტი - მართლა ვინა ვართ, მეტი რა უნდა გვინდოდეს!..

და ლამაზად, ოსებ ნონეშვილისებურად: „მამამა შემობრძანება ყაყაროს შუქით გვახარა, ბულბულის ენა მოიდგა, გულს ვარდი გადმოგვაცარა...“

სიცოცხლეს, სიხარულს, შრომას, ბრძოლას, თავისუფლებას, ბავშვებს, სიყვარულს, ამ ცას, ამ ვენახს, ამ მარანს, სამშობლოს... დაბადებას...გაუმარჯოს!..

- ნეტავ, ამ დღეს დაბადებულს, დომენტი როგორ დაგარქვენს.

- რა ვიცი, პაპაჩემს, ლადო მღვდელს მოუნდინია აგრე. თანაც მამაჩემი თვითონ იყო გოგია-გიორგი და ამდენად ძალიან აღარ შეეცდებოდა ჩემს გიორგობას.

სიცოცხლე სიხარულია, მწუხარებითაც კი ვხარობთ. მერე რა, სულ ხომ არ ვიქნებით. როცა ვართ უნდა გავიხაროთ. მამ! დარდს უნდა ვაჯობოთ, ამას რა ჯობია...



თენგიზ უთმელიძე - 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე თენგიზ ვარლამის ძე უთმელიძის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო თენგიზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მრავალმხრივი ნიჭიერებითა და პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

ფართო საზოგადოება თქვენ გიცნობთ, როგორც ქართული ხალხური ცეკვის უბრწყინვალეს წარმომადგენელს, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ანცვიფრებდა მსოფლიოს ვირტუოზული ტექნიკით, სიჩაუქით, შესრულების არაჩვეულებრივი, მხოლოდ მისეული მანერით...

ახალგაზრდობის და სტუდენტთა მოსკოვის VI ფესტივალზე სრულიად შემთხვევით აღმოგაჩინეს ქართული ცეკვის კორიფეებმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა და დაუფიქრებლად მიგინვიეს მათ ჯადოსნურ ანსამბლში. გუმანმა არ უმტყუნა ამ დიდ შემოქმედებს და თქვენც ისე სწრაფად და ორგანულად ჩაენერეთ ამ ლეგენდარული ანსამბლის ოქროს ხანის დასში, რომ იმავე წელს საგასტროლო ტურნეში წაგიყვანეს. მას შემდეგ მსოფლიოს 70 ქვეყნის უპირველეს საკონცერტო დარბაზებში ბრწყინავდით და საქართველოს - „დაჭრილი მზის“ (როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა ხოლმე) სახელსა და დიდებას იცავდით, თავად ნინო რამიშვილს უწევდით პარტნიორობას ჩვენი ერის უპირველეს ცეკვა „ქართულში“ და ქართული სულის, ჯიშის, რასის ქედუხრელობასა და სინარჩუნარეს ასხივებდით.

თქვენი და თქვენი სწორუპოვარი ანსამბლის შემოქმედებით აპოგეას წარმოადგენდა იტალიური გასტროლები, როდესაც მილანის „ლა-სკალას“ საოპერო თეატრში თოთხმეტჯერ აინია ფარდა...

სუხიშვილების ანსამბლი თქვენი ცხოვრების ჭეშმარიტ გამართლებად იქცა. თქვენ, სწორუპოვარი მოცეკვავე, მემარტიანედ იქცეით „სუხიშვილებისა“, რაშიც თქვენი პროფესია - ჟურნალისტიკა გამოგადგათ. თქვენ კალმით თუ ფოტოაპარატით ხელში აღწერდით, აფიქსირებდით და ქმნიდით ფასადუდებელ კინო-ფოტომატიანეს ანსამბლისა, რომელიც აჯადოებდა მსოფლიოს. თქვენი ფოტოგამოფენები დიდი წარმატებით ჩატარდა თბილისსა და საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში. „სუხიშვილებს“ უძღვენი უნიკალური დოკუმენტური ფილმი, რომელშიც აისახა ანსამბლის გასტროლები ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურსა და მალაიზიაში. თქვენს მშობლიურ ანსამბლის ტრიუმფალურ არსებობას ეძღვნება თქვენი ისეთი კრებულები, როგორცაა „სუხიშვილები, რომანტიკული ფოტომატიანე“ და „როკით განფენილი ქართული გენი“...

ჩინებულად განასახიერეთ აბესალომის როლი სიკო დოლიძის მხატვრულ ფილმში „ეთერის სიმღერა“.

ძალზე გვახარებს, რომ ასეთი ხელოვანი ჩვენი შემოქმედებითი კავშირის წევრია. თქვენი პირველი ლექსი „ტრიუმფი ლა-სკალაში“, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა ისევე და ისევე „სუხიშვილებით“ იყო შთაგონებული. თქვენი ლექსები თქვენივე სულის ნაჟურს წარმოადგენს, ქართველი კაცის სულიერ ღაღადისს მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან აღვლენის და მალამოდ ედება ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ის ღვთიური სამება, რასაც მამული, ენა, სარწმუნოება ჰქვია...

მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდით. სხვადასხვა დროს იყავით გაზეთ „კომუნისტის“ და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა ინსპექციის უფროსი, საქართველოს კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილე, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრის „მუზას“ გენერალური დირექტორი, თქვენი, როგორც კოორდინატორის, ძალისხმევით ჩატარდა ქართული კულტურის დღეები სან-დიეგოში (აშშ), სტამბოლში (თურქეთი), მოსკოვში (რუსეთი). თქვენი უშუალო ინიციატივით 2005 წელს დაარსდა „ქართული ქორეოგრაფიის დღე“, როგორც პროფესიული დღესასწაული.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწა და შთაგონებული რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული არტისტის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ქართული ხელოვნების ქურუმის, ქართული კულტურის რაინდის ნოდებები, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია. არჩეული ხართ თბილისის საპატიო მოქალაქედ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსად. თბილისის ფილარმონიის წინ გახსნილია თქვენი ვარსკვლავი.

ბატონო თენგიზ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უებრო სამსახურში ბოლომდე დახარჯულ შემოქმედსა და რაინდს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი ყველა სანატრიონის ასრულებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



„კაი რამ არის ქვეყანა, ედემზე უკეთესია, კაემნის ბულბული მღერის, სევდის ვარდები სთესია“, – წერდა ასე მძიმე სენით და ავადებულ იროდიონ ევდოშვილი გადასახლებაში, ქ. ჩორნი-იარში... უმძიმეს პირობებში მყოფი... „ექიმების შემონებით სიტყუქესთან ძლიერ ახლოს ვარ, აქაური ჰავა კი მე ვიცი, რო ახალი საზღვრიდამ მალე გადამიყვანს მის სამფლობელოში“, – სწერდა მეგობარს, ალექსანდრე ხახანაშვილს და მინც – „კარგი რამ არის ქვეყანა, ედემზე უკეთესიაო“, – ამის თქმაც შეეძლო რევოლუციის ტრიბუნად და გულწრფელ პოეტად აღიარებულს.

რთული, საინტერესო და წინააღმდეგობრივი იყო იროდიონ ევდოშვილის ცხოვრება და შემოქმედება. იგი იყო პუბლიცისტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, მაგრამ უმთავრესი მისთვის მინც პოეზია იყო. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის მრავალი მკვლევარი შეხებია განსაკუთრებით მის პოეზიას. მას აღიარებდნენ, როგორც თავისუფლების გაბედულ მომღერალს, მოწინავე იდეალის და მაღალი ესთეტიკური გრძობების შემოქმედს, ვინც გულთან მიიტანა ჩაგრულთა და უფლებოთა მდგომარეობა, ვინც იცოდა ფასი თავისუფლებისა და ცდილობდა, მისი პოეტური სიტყვა ყოფილიყო ორიენტირი სანუკვარი თავისუფლებისაკენ:

თავისუფლება დარბაზებში არ იბადება. ის არის შვილი, პირმო შვილი ღარიბ კერის. ის მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება.

იროდიონ ევდოშვილის პირველი ლექსი „გუბე“ დაიბეჭდა 1893 წლის 6 ივნისს „კვალში“ (№23), ი. ხ-შვილის ხელმოწერით. მკვლევარ შალვა გოზალიშვილის გადმოცემით, ჭაბუკ პოეტს ეს ლექსი დაუწერია სემინარიიდან გარიცხვის სამი დღის შემდეგ და მასში „მკვეთრ ფერებში, ალეგორიულად გამოხატა სემინარიის გაბატონებული რეაქციული სული, შემხუთავი ნესები... სემინარიის აშორებულ გუბეს შეადარა.

შემდეგ კი, 1895 წლიდან, მისი ლექსები იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. იმავე ვითვე „ტვირთქვეშ მოხრილ მამურალთა და უღონოთა“ თანაგრძობას გამოხატავდა თავის სათქმელში. ამით ილიას „ტვირთმძიმეთ და მამურალთ მხსნელის“ იდეას არათუ ეხმიანებოდა, არამედ განაცხობდა და ამტკიცებდა. დრო და ჟამიც ამას კარნახობდა.

ამავე წელს ლექსში „გაფრთხილება“ პოეტი გამოკვეთილად მონიშნავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, რომ მისი სიტყვა უსამართლობის, ჩაგვრის, დახშული თავისუფლების დასაცავად უნდა ჟღერდეს:

იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილი) მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები ასეთია: 1873 წლის 19 მაისს (ახ. სტილით) დაიბადა ქიზიყში, სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში. დედის – ევდოკიას სახელი არჩია ფსევდონიმად და ევდოშვილის გვარით შემოვიდა ქართულ მწერლობაში. 1890 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი პირველი ხარისხის ატესტატით, იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წლის აგვისტოდან იროდიონი სამხედრო სამსახურშია, ჯერ ყუბანის და შემდეგ – ბაქოს ფეხოსანთა პოლკში. 1894 წელს დაამთავრა მეთაურთა კურსები და უმცროსი უნტეროფიცირის ჩინი მიიღო.

1895 წლიდან იროდიონი თბილისში იმყოფება და გაზეთ „ივერიასთან“ თანამშ-

რომლობს. ამ წლიდან იწყება მისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება. 1896 წლიდან 1899 წლამდე მსახურობდა ბაქოში ნობელის ნავთის საწარმოო კანტორაში, უკავშირდება მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს... თბილისში დაბრუნებული 1901 წლის მაისიდან 1903 წლის აგვისტომდე იროდიონი მუდმივი ძირითადი თანამშრომელი იყო გაზეთ „კვალისა“. 1907-1909 წლებში (დაპატიმრებამდე) მსახურობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველის თანამშენედ.

იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი – 90-იანი წლების მიწურული და 900-იანის დამდეგი, დაემთხვა კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავების ხანას, როცა იდეური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა „მესამე დასის“ სახელით ცნობილი თაობა, სოციალ-დემოკრატიული პარტია. საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი შეასრულა ევდოშვილის გულწრფელმა პოეტურმა მონოდეამ 1905 წლის რევოლუ-

იროდიონ ევდოშვილი – 150

ზოია ცხადაია

მგზნებარე ტრიბუნადან „სამგლოვიარო სევდამდე“

ციის დღეებში. მის მგზნებარე პათოსით აღსავსე ლექსებს მღეროდნენ და წარმოსთქვამდნენ ყველგან: ტრიბუნაზე, ბარიკადებზე, თავშეყრის ადგილებზე. ბრძოლის პათოსით, თავისუფლებისათვის თავგანწირვის მგზნებარე მონოდეებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ევდოშვილის ლექსი „მეგობრებს“ (1895 წ.). ის მეტად მორგებული აღმოჩნდა 900-იანი წლების რევოლუციური სულისკვეთებით დამუხტული დროებისათვის.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ლიტერატურათმცოდნისა და მკვლევარის, გიორგი მერკვილაძის მოსაზრება: „სიმღერაში“ ქარიშხალი წარმოსახულია, ვით განთავსდა მოციქული და იგი წარმოადგენს იგივე რევოლუციური სიტუაციის მინიმუმს, რასაც მაქსიმ გორკის „ქარიშხალი“, რომელზეც თითქმის ერთი წლით ადრეა დაწერილი (გ. მერკვილაძე, ფიქრები პოეზიაზე, „არ დაივიწყო შენი მცნება და შენი აღთქმა!“, „მერანი“, 1975, გვ. 195).

იროდიონ ევდოშვილის 1905-1907 წლების ლექსები, ძირითადად, იმდროინდელ მარქსისტულ პრესაში იბეჭდებოდა, თარგმნა მუშათა საერთაშორისო სიმღერა „ვარშავიანკა“ და „მარსელიოზა“, დასტამბა რევოლუციური სულისკვეთების ლექსები: „წერილი მეგობრებთან“, „ჩემს მეგობრებს“, „ამირანი“, „ბრძოლის სიმღერა“ და მრავალი სხვა. 1905 წლის რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლების გენერალური რეპეტიციის“ (ტ. ტაბიძე) დამარცხებამ. დაღვრილმა სისხლმა, ბრძოლის სტრატეგიამ და რევოლუციური იდეოლოგიის საეჭვო მიმართულებამ ბევრის იმედი გააქარწყლა, განსაკუთრებით კი – იროდიონ ევდოშვილისა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ, რომელიც აშკარად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ინსპირირებული. ცნობილია ილია ჭავჭავაძისადმი იროდიონ ევდოშვილის გამოსათხოვარი სიტყვა, უდიდესი გულისტკივილის გამომხატველი. ილიას მკვლელობა გახდა ევდოშვილის გულგატეხილობისა და მწუხარების მიზეზი. ამ გულგატეხილობის და სევდის გამო 1907-09 წლებში მას თანამოკალმენიც კი აკრიტიკებდნენ გესლიანი სიტყვებით, ხოლო საბჭოთა კრიტიკის ზოგი ერთგული წარმომადგენელი იროდიონ ევდოშვილის 1907 წლის შემდგომ მოღვაწეობას მეორე, მძიმე და დაღმავალ პერიოდად მიიჩნევდა. ეს მართლაც იყო იროდიონისთვის უმძიმესი პერიოდი, მაგრამ არა დაღმავლის, არამედ

რეალობის გაცნობიერების, გადაფასების. ლექსი შექმნილია, როგორც განწირულის უკანასკნელი სიტყვა სამშობლოსადმი. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს სამშობლოში, გამწარებული ყოფის გარდა, არაფერი რჩება, მაინც სამუდამო ტკივილად მიჰყვება მასზე მოგონება, ფიქრი და ნაღველი.

„მშვიდობით, ჩემო მორთულო მხარე“, – მიმართავს თავის ძვირფას ქვეყანას და ამით მინიშნებს, რომ მისი ქვეყანა მტრისგან დაბეჩავებული და უმოქმედოა, არ ჩანს მასთან დაბრუნების, ისევე შეხვედრის პერსპექტივა. იროდიონ ევდოშვილი გადასახლებაში დაავადმყოფდა, რაც უფრო და უფრო გაუართულდა არასათანადო მკურნალობით, შიმშილით, სიცივით, ფიქრი სამშობლოში უმწეოდ დარჩენილ ცოლ-შვილზე... განსაკუთრებით აწუხებდა „წარსულის შეცდომა“ (ეს მისი სიტყვებია, გულისხმობდა სოციალ-დემოკრატებისათვის თავის ადრინდელ ნდობას) სიცოცხლის დღეებს უმოკლებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს. მრავალი

ლექსი დაწერა გადასახლებაში მყოფმა: მონატრებულ ალაზნის ველზე, საქართველოს კუთხეებზე, ზოგადად – სამშობლოზე, დატყვევებულის ყოფაზე, თავისუფლებაზე...

ჩამოვდნი, როგორც სანთელი, ფთილა ვარ კელაპტარისაო! ფანჯარაზე, სევდის ფანჯარაზე, იავ, ნაჭერო ცისაო.

ვაი, რა ძნელი ყოფილა ტყვეობა არწივისაო.

„მეცდომების გამოსწორების“ მცდელობა გულგატეხილმა პოეტმა ისევ პოეზიას მიანდო. თავისთავად, სევდიანია მისი გადასახლებაში ყოფნისას დაწერილი ლექსები, მაგრამ შექმნილი ნაღველი მეტია მის ნათქვამში, ვიდრე იმედის ნათელი... საინტერესოა ამ წლების ლექსები ზღვის თემაზე: „ზღვას“, „ზღვის პირას“, „მეორე ტალღა“, „ზღვაზე“, „ზღვისა ტალღებსა“, უსათაურო ისევ და ისევ ზღვის ფონზე ტკივილით, მწუხარებით, სევდით დაწერილი.

„ზღვის ნიანგი“ და „ალესილი ეშვები“ იმ დროების, ავადმყოფობით დამძიმებული ცხოვრების მეტაფორული წარმოსახვაა უთუოდ (ლექსები დაწერილია სოხუმში, სადაც იგი, როგორც ჩანს, ხშირად იმყოფებოდა სამკურნალო მიზნით) ნუგეზად და იმედად კვლავ დიდი წინაპრების სახელებია: ილია და აკაკი ლექსში „ორი საფლავი“ (1915):

ქართულ პოეზიაში იშვიათად შეხვდებით ლექსებს პირველი მსოფლიო ომის თემაზე, არადა, ქართველთა მსხვერპლი დიდი იყო. იროდიონ ევდოშვილის ლექსში „ქართველი დედა“ ფერწერულად, თოვლიანი პეიზაჟის დიდებულ ფონზე ისახება ომისგან სიცოცხლეჩამქრალი სოფელი. შეიძლება ითქვას, ეს გამორჩეული ლექსია პოეტის შემოქმედებაში და, როგორც ვთქვით, იშვიათი თემატურად:

„ჰაერში კომლი არ იზღაზნება“, კერა ჩამქრალა, „თვითონ ქოხში კი მოხუცი დედა ცრემლით ცივ ნაცარს ზედ დაჰქვითინებს, და ბერი კაცი პირველის წერით შორს, ომში წასულს იგონებს შვილებს“... უპატრონოდ მიტოვებული ნამგალი და გუთანი, არც ჯეჯილი თოვლქვეშ... ბრძოლის ველზეა მისი ერთგული კაი პატრონი და ამხანაგი“. ატრეპული, „კერა ჩამქრალი ქართველი დედა“ კრავს ტექსტის სევდიან ფინალს (კითხვის ნიშნით: სად, ვის ომში იხილებოდნენ შვილები?)...

განსაკუთრებით ბევრის მთქმელია იროდიონ ევდოშვილის მიერ გადასახლებიდან სანდრო შანშიაშვილისადმი გამოგ-

ზავნილი ბარათი (იროდიონს თან ჰქონია ს. შანშიაშვილისგან ნაჩუქარი პიესების წიგნი, რომლის ყდაზე, შიგნით დაუკრავს ბარათი, სუფთა ქალაქი გადაუკრავს და ასე გამოუგზავნია), რომელშიც გულახდილად წერს იმას, რაც ესოდენ აწუხებდა: „დიდი ხანია, შხამის ტბა ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა ჩემმა მეგობრებმა დაატრიალეს. მლანძღავენ, მჭორავენ. აქა ვარ, მაგრამ ჩემს ლანდს უყეფენ. ამ გადამთხვეულებმა ილიას მოხუც, ნაჭირნახულე გულს ტყვია დაახალეს. ის ტყვია მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა. აქ განყდა ჩემსა და მათ შორის შემეღრთებელი ძაფი. მაგრამ, ძაფი კი არა, ნამდვილად ჯაჭვი. იმიტომ, რომ მათთან ვიყავი მიჯაჭვული, მთელი 10-12 წლის განმავლობაში... იცოდე, ასეთი უკულმართი შეხედულებები ეროვნულ საკითხებზე არცერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატის არ აქვს და თუ დღეს ქართველ მუშებს ასეთი უკულმართი შეხედულება აქვს ეროვნულ საკითხზე, ამაში, რასაკვირველია, ქართველი ეზდეკი ინტელიგენციაა დამნაშავე, მეც ერთი მათგანი ვარ და მიწა ჩემი შეცდომა გამოვასწორო“ (წერილი პირველად იროდიონ ევდოშვილის შვილიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მარიამ (ცი-ალა) კარბელაშვილმა გამოაქვეყნა ჟურნ. „Литературная Грузия“-ს მე-12 ნომერში, 1988 წ., თავისივე თარგმანი, რუსულად, რადგან ქართულად გამოქვეყნება შეუძლებელი იყო ცენზურის გამო).

მე-19 საუკუნის იმ მრავალრიცხოვან პოეტთაგან, რომლებიც იღვწოდნენ ქართული საბავშვო მწერლობის სამსახურში, მნიშვნელოვანია იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება. მის საყმანელო ლექსებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პატრიოტიზმს, სოციალურ საკითხს, ჰუმანიზმს, დიდაქტიკას, ზუნებას... ასეთივე განწყობით შექმნა მისი საბავშვო მოთხრობები: „უბედური ქორბუდა“, „ორი ობოლი“ და სხვ. მან მრავალ ჟანრში გამოავლინა შემოქმედებითი ინტერესი: შიო არაგვისპირეთისა და ჭოლა ლომთათიძისთან ერთად მას მცირე ფორმის ქართული მხატვრული პროზის ღირსეულ ოსტატად მიიჩნევენ. ევდოშვილი ავტორია ორიგინალური კომედია-ფარსისა „ჭრელი სუფრა“, ასევე – პუბლიცისტური წერილებისა და ფელეტონებისა, ეწეოდა საინტერესო მთარგმნელობით საქმიანობას...

იროდიონ ევდოშვილს, გადასახლებიდან დაბრუნებულს (1912), დიდხანს არ უცოცხლია, მაგრამ მინც შეძლო, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ გამოეთქვა ლექსებად „ნუგეში – მტირალს, დამანებელს თავის ხვედრისა“... იგი გარდაიცვალა 1916 წლის 15 მაისს (ახალი სტილით), 43 წლის ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სკოლის სხვა პოეტები და, მათ შორის, იროდიონ ევდოშვილიც არაერთხელ გაუკრიტიკებია, კიტა აბაშიძე გულისტკივილით გამოეხმაურა მის უდროო გარდაცვალებას: „ევდოშვილი უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა ხალხს და მაშინაც მისი სიმღერა აღსავსე იყო გაზაფხულის სხივებით. იგი მომსწრე იყო მისი დამარცხებისა, და მაშინაც მისი სიმღერა მხნე და იმედიანი ჰარმონიით იყო შეხმატკილებული. პირადმა ტანჯვამ, მწუხარებამ და გაჭირვებამ ვერ შესცვალა მისი რკინის გული და ისე ჩავიდა საფლავს, რომ სასომხდელი არ ამოუკენესია. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო მე-ბრძოლის სიტყვა“. ამას კიტა აბაშიძე უთუოდ ევდოშვილის ადრინდელი ტექსტების შთაბეჭდილებით ასკვნიდა და არც მისი „სამგლოვიარო სევდის“ (ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით) შესახებ არაფერი იცოდა, თორემ იქნებ სხვა რამეც ეთქვა... ის, რომ იროდიონ ევდოშვილმა აშკარად გადახედა თავის იდეოლოგიას და „მგზნებარე ტრიბუნი“ „სამგლოვიარო სევდით“ ჩავიდა საფლავში.

ფედერიკო გარსია ლორკა ესპანურიდან თარგმნა კამილა მარიამ კორინთელმა

ორი ლექსი „ესპანური ჰანგამიდან“

ალ კანტარას ხიდი

ალ კანტარას ბებერ ხიდიზე გუშინ გნახე, თეთრი სამოსი გშვენოდა, მე კი წითელი მეცვა პერანგი. წითლად ღვიოდა შენი ტუჩები. მე ყველაფერი თვალებით გითხარი, მე ყველაფერი გითხარი! შენ კი მიიღე ნატიფი სახე. წითლად ღვიოდა შენი ტუჩები, ტახო მიქროდა ხმაურით, მიაქანებდა მომწვანო ტალღებს და თრთოდა ჰაერი ხვატით დამთვრალი. წითლად ღვიოდა შენი ტუჩები. ეს იყო წამი - თუ საუკუნე... მე გზას გადავდექი. შენ გაიარე მარაო დუმდა შენს თლილ თითებში... მგონი სინითლემ დაჰკრა შენს ღანწებს და გაქრა უმალ, ვით ტახოს ზვირთი... ალ კანტარას ბებერ ხიდიზე გუშინ გნახე...

ზღვა

ქიმს იქით დარჩა მალაგა. გრანადა ბაღებში ჩაეფლა. სევილიამ ლაბადა მოისხა. კადისის კოშკები ზვერავენ ზღვას. ეს როგორ მოხდა? მოხდა კი მართლა? შორეულ გზებზე, ვარსკვლავთ ბილიკებზე ჩვენ დავიბენით... ჩვენ დავიკარგეთ და ერთმანეთიც დავკარგეთ უცებ...

ცეკვა

„კანტე ხონდოს პოემიდან“

სევილიის ცხელ ქუჩებში ცეკვავს კარმენ ლამლამობით, ქალი თეთრი კულულებით, ანთებული მზერით. გოგონებო, ფანჯრებს განერიდეთ! მის თეთრ თმაში იკლავება შუქის მოყვითალო გველი, მის ცეკვაში ილანდება სიყვარული ძველი. გოგონებო, ფანჯრებს განერიდეთ! ქუჩებს ძილი ეძალევა, ღამე ითვლის ჩრდილებს, ანდალუზურ გულს სტკივა წარსულის ზმანება...

მარტოობა

შავი შალით მოსილი ფიქრობ, რომ სამყარო პატარა არის, გული კი - უკიდევანო, შავი შალით მოსილი... ფიქრობ, რომ სუნთქვა ნაზი და ყვირილიც გაქრება ქარის ქროლა-გაქროლვაში შავი შალით მოსილი... აივანი დარჩა ღია და ალიონმა ოთახში

მთელი ცა შემოანთხვია. შავი შალით მოსილი!

პატარა მადრიგალი

ოთხი ბრონეული ამშვენებს შენს ბალს. (ნაილე ჩემი გული ახალი). ოთხი კვიპაროსი ჩადგება შენს ბალში. (ნაილე ჩემი გული ძველი). მზე და მთვარე და მერე არც გული და არც ბალი.

სქამატური ნოქტიური (სიმღერებიდან)

კამა, გველი და ლენამი. სურნელი, კვალი და ბინდ-ბუნდი. ჰაერი, მინა და - მარტოობა. (კიბე მთვარეზე აღის).

პეიზაჟი

ზეთისხილის ველი იშლება და იკეცება, ვით მარაო ჭრელი. ზეთისხეთა თავზე ცა უძირო და ვარსკვლავთა შუქის ცივი ღვარი. მდინარის ნაპირას ქარი ათამაშებს ლერწმებს და შუქრდილებს, ხეები ჟღერტულით დამთვრალან: მათ ჩრდილში ტყვე ჩიტების გუნდი ბოლოების ქნევით მყუდროებას დევნის.

გიტარა

ინყება გიტარის მოთქმა. იმსხვრევა ფიალა დილის. ინყება გიტარის მოთქმა! ო, არ მოსთხოვო მას სიმყუდროვე - დაულალავად მოთქვამს და ტირის. მონოტონურად, ვითარცა წყალი, ვითარცა ქარი მყინვარზე ტირის. ნუ ევედრები - არ დადუმდება, შორეულ სახეებს გიტარა ტირის. ასე მზე ჩამავალი ხვალის ამოსვლას ტირის, ასე სწრაფი ისარი დაკარგულ მიზანს ტირის, უდაბნოს ქვიშა გამხმარი თეთრი კამელიის გრილ სილამაზეს... ხის ტოტზე მომკვდარ ჩიტუნას ტირის... ო, გიტარა, გული ხუთი სატყვერით მიძიმედ დაჭრილი.



მიმოზა ცანავა - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი მიმოზა ალექსანდრეს ასული ცანავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ქალბატონო მიმოზა!

ჩვენო ძვირფასო კოლეგავ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, სათნოებით და პიროვნული კეთილშობილებით გამორჩეულ ბანოვანს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს. შეიძლება ითქვას, რომ ეპოქა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენი სამწერლო კურთხევა შედგა. 1968 წელს ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „დედა“ და მას შემდეგ ამაყად და შეურცხველად ატარებთ ქართველი მწერლისა და მოღვაწის უმძიმეს ჯვარს.

ქართველმა მკითხველმა მონონებით და სიყვარულით მიიღო თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „თვალთა უბეში ჩამდგარი ცრემლი“, „დამსხვრეული ყავარჯენი“, „ოდაბადე“, „კოლხური სევდა“, „მარტოობის ქალი“, „ტკივილის ტვირთი“, „გულიდან ამოკვირტული“, „მიმკა“. ამ კრებულებში დაივანა თქვენმა საესაგვმა სამშობლომ, თქვენმა ყველაზე დიდმა დარდმა და ტკივილმა, დაივანა თავისი წარსულით, ანმყოთი თუ მომავლით. თქვენ ხომ, როგორც ახლოებელ ადამიანს, ისე ესაუბრებით მკითხველს სიყვარულსა და სიკეთეზე, კეთილშობილებასა და ერთგულებაზე, სიძულვილსა და ბოროტებაზე, გაუტანლობასა და ღალატზე, ესაუბრებით საკუთარ ცხოვრებაზე, რომელიც არ განებივრებდათ, უფრო კი პირიქით, მირიად განსაცდელსა და გაჭირვებას გადაგყარათ, მაგრამ ვერ გაგტეხათ, ვერ დაგაძაბუნათ, ვერ გადაგახვევინათ იმ გზიდან, რომელსაც საქართველოს უებრო სამსახური ჰქვია.

სწორედ თქვენს სულში დატრიალებული ქარაშოტებისა თუ გრიგალების ნაყოფია ის პოეტური მონოლოგი, „დამსხვრეული ყავარჯენი“ რომ ჰქვია. ის შემდგომ მონოსპექტაკლად იქცა და დიდი წარმატებით დაიდგა ჯერ დღემდე ოკუპირებულ საქართველოს მწერალთა სასახლეში, მერმე კი- ერთი მსახიობის თეატრში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში“, შოთა რუსთაველის თეატრში დაა სხვ. ამ სპექტაკლის ერთადერთი მსახიობი თქვენვე იყავით, არწმუნებდით მსმენელს, რომ რაც არ უნდა დიდი უბედურება დაატეხონ ადამიანს თავზე, ვერ გატეხენ, თუ იგი ქედუხრელად ემსახურება დიდ ადამიანურ სიმართლეს, სიკეთესა და სათ-

ნობას. თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. წლების განმავლობაში ენოდით ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დამფუძნებელი ხარტ ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაციისა, ასოციაცია „დამსხვრეული ყავარჯენისა“, წინამძღოლობდით გაზეთ „ნათლის სვეტს“, არჩეული ხართ „ფაზისისა“ და „აიას“ აკადემიების აკადემიკოსად. ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი პედაგოგიური საქმიანობა. ძალიან დიდხანს ასწავლიდით ბავშვებს მუსიკას, ქართულ ენასა და ლიტერატურას ზუგდიდის საშუალო სკოლებში და მათ სულში სიკეთის ნერგს თესავდით.

მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის სახელობის, გაზეთ „ივერიის“, ნანა დავარის სახელობის პრემიები, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი, ქართული კულტურის ამავდარის ნოდება, ის გახლავთ ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.

ქალბატონო მიმოზა! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით მიღწევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ღამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი!

ქართველის დედა შავ ძაძებში გახვეულა და გაჩენას სწყევლის, დაუბრუნე გონებანი კაცთა მოდგმას, დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! თითქოს თვალი დამიბნელდა, თითქოს გონი ამერია, ღვიძლი შვილი რომ გამიხდა მტერი, ღმერთო, გვედრებ გამიფანტე შავი ნისლი, დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! ჩვენ ხომ ერთი ძუძუ გვზრდიდა, დედავ, ვიცო რად წავსვლია ფერი, დედა ყველა დედა არის, თუნდაც ვეფხვის დედა იყოს, დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! ასე მზრდიდა ქართველის დედა, მე სიკეთის ბალადაზე ვარ გაზრდილი და ჩემს ჯილაგს მტრობა აღარ შევინს, ცრემლი თითქოს სისხლად მექცა, შენი მტრობა ისე ძლიერ სულს ემწარა, დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! ქრისტიანთა წმინდა წყარო ამღვრეულა, ნაკურთხ მინას ისევ ლოცვა შევინს, ჩვენ ხომ ერთი მინა გვზრდიდა, გავიხსენოთ წარსული და დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! ჩვენში ერთი სისხლი ყივის, რამდენი ვართ ნათესავნი და რამდენი კიდევ ძუძუმტენი, მტერო, მტერი ვით დაგარქვა, შენ ხომ ჩემი ნაწილი ხარ, დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი! ღმერთო, შენ ხომ სულდიდი ხარ, ღმერთო, ყოვლისშემძლე გქვია, თვალთა უპეს შეაშრე ეგ ცრემლი, გადმოგვასხი შენებური ჯადოსნური, კურთხეული, შენალოცი, ერთობის და შერიგების, გატანის და სიყვარულის წმინდა წყალი, დაგვიბრუნე, დაგვიბრუნე აზროვნება, დამბრუნე მაღლიანი ჩემი მინა, ტურფა მხარე, ლამაზი და მშვენი, მომიშუშე იარები, დაგლეჯილი ძუძუ მენვის, დამიბრუნე დაკარგული შვილები და დამიბრუნეთ აფხაზეთი ჩემი!

ლანა მანველი

ოცნებები მემკვიდრეობით სტრას-ბურგში გაზაფხულია. ნვიმისგან დასველებულ აივანზე, სამზარეულოდან გატანილ სამფეხა სკამზე ვზივარ, სიგარეტს ვენევი და ვფიქრობ. ვფიქრობ ყველაფერზე და თანაც არაფერზე. ზოგჯერ ფიქრიც იღლება შენით და სადღაც ქრება. ცის კიდებზე ყრუდ გაივლია. შემაჯრულია. არ ვიცი ეს სიცივის ბრაღია თუ ნერვების. დღეს პირველი მაისია. ელზასში ცივა. ბოლო დროს ბევრს ვენევი. ისევე ბევრს, როგორც ერთ დროს მამაჩემი ენეოდა. უკვე ბევრი წელია, რაც მამა იმ ქვეყნად წავიდა. მაშინ სამოცდახუთის იყო. ახლა? - არ მინდა წლების გამოთვლა. დრო მიდის და სევდის მეტს არაფერს ტოვებს. ზურგი მტკივა. ცვდილობ ნელში გავიმართო. ესეც აღარ გამომდის. მეორე სიგარეტის ნამწვიც ჩავაქრე და მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტბას გავეხედე. მშვიდი და მოწყენილია ისიც. შვიდი წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. პასპორტში, აკრძალულ ქვეყნად მაქვს მონიშნული ჩემი სამშობლო. მობილურ ტელეფონში ამინდის პროგნოზის აპლიკაცია მოვძებნე. ახლა თურმე თბილისშიც ცივა. მე კი სულ მზის სხივებით და იასამნების სურნელით გამთბარი ქუჩები მეღანდება. . . აივნის შორეულ კუთხეში, სახელდახელოდ გაკეთებულ ბუდეში, ორი თეთრი კვერცხი დევს. ერთი დიდა, მეორე მომცრო. ჩვენს უბანში უამრავი მტრედია. არ მიყვარს აივანს რომ მისვრიან. რამდენჯერმე გადავყარე მათ მიერ მოზიდული პატარა ტოტები. ბოლოს, პირდაპირ ფილებზე ორი კვერცხი რომ ვნახე დადებული, გული მომიღება, რბილი ნაჭერი მოვძებნე და იქვე ახლოს დავაფინე. დედა მტრედი წელან ჩემს დანახვაზე რომ გაფრინდა, ისევ მოფრინდა და აქვე, შორიახლოს ტრიალებს. სევდა შემომანვა. ჩემი სამი „ბარტყიდან“ არცერთი არ არის ჩემთან. ერთს უკვე საკუთარი ბუდე აქვს. მეორე იმზადებს. მესამე, საკუთარი თავის შეცნობას ცდილობს... მზემ გამონათა და მალევე გაქრა. ისევ მამაჩემზე ვფიქრობ. მისი სიკვდილის დღე მახსენდება. მიუხედავად იმისა, რომ მამის გვერდით არ გავიზარდე, იმ დღეს ჩემშიც მოკვდა რაღაც, უზომოდ მშობლიური. ჰორიზონტს გავცქერი. ტკივილებით სავსე ცხოვრებამ, ყველა ჩემი ოცნება გაცხრილა, თანდათან გააუფერულა და გააქრო. მხოლოდ ისინი დამიტოვა, რაზეც მამაჩემიც ოცნებობდა და რომლებიც, წლების წინ მხოლოდ მისი მეგონა. ხმამაღლა გაუღერებულები და შემთხვევით მოსმენილები. თანდათან მეც იგივე ნატვრები დამჩემდა. ბავშვურები და სხვებისთვის იქნებ არასერიოზულებიც. მე მიყვარან მამაჩემის აუხდენელი ოცნებები. მზემ ისევ გამონათა. გამეღიმა.

ჯემალ შანიძე

სოფლის სურათი

დაეფარა ეზო თალარს, ღობის ქვეშ წევს შავი მურა. პაპა სიმორცხვესა მალავს, სახლი ჩრდილით დაიბურა. უზარმაზარ კედლის ღუმელს ბებო უზის, თმებით ხშირი, ზოგჯერ შეშით გაახურებს, ზოგჯერ კიდეც - ქვანახშირით. გარეთ თოვს და სახლის სითბო ერთურთს ძლიერ გვახალისებს. ბებო შეშის ტრიალს ითხოვს ხან ასე და ხანაც ისე. სოფლის სითბოს, ღმერთო ჩემო, ნუთუ რამე შეედრება. სამუდამოდ დამორჩეს გემო და სიმღერის ეს ვედრება...

ლამაზია გურჯის ქალი

„ლამაზია გურჯის ქალი“ გ.რჩეულიშვილი

ლამაზია გურჯის ქალი, თავზე შავი ფაფახითა. შვენის ჩოხის მინანქარი, ვერ გაძლები ნანახითა. არის ხშირად მასპინძელი და მლოცველი ბარაქისა, სიყვარული იცის ძნელი, მოკლე ხანში არას იზამს. არა იგი მოიხიბლოს სიმდიდრით და ალაფითა, ოდეს თუკი შეიყვარო, არ დაკარგო არაფრითა. ლამაზია გურჯის ქალი თავზე შავი ფაფახითა...

* * *

გული მეთანადრება, რომ ვერ ვხედავ ბაბუებს, ამინდს უნდა აღრევა, ღრუბლებს ცაში აბრუნებს. გული მეთანადრება, ნეტავ როგორ დავრახო, ყანას უნდა აღება, მაგრამ უბაასოდ.

* * *

ყოველ ლექსს უნდა მტკიცე იდეა. რომ განისაზღვროს თემა და აზრი, ნამდვილი ლექსი თურმე ვიდრეა, შერჩება სანამ სათქმელი ბასრი. მართალი ლექსი მხოლოდ ის არი, აფორიაქებს გულს რაც ძალიან, დასახე მუდამ წერის მიზანი, დრო ნახე, თუკი არა გცალია. ამხილე მუდამ გულის ზრახვები, წარმოაჩინე ლექსის სიღრმე, დროა მოიხსნა ყველა სახვევი, ყველა ჯაჭვი და ყველა ნიღბები. წარმოთქვი რასაც გულში ინახავ, განსაზღვრე სიტყვის თემა და აზრი, აჩვენე ყველას, თუკი ვინა ხარ, ვიდრე ხარ ისევ ხმალივით ბასრი.

* * *

გადაიარა შფოთმა და შიშმა, მდინარის პირას გამოჩნდა სახლი, და სახლთან ახლოს დატოვილ ნიშანს დავცქერი, როგორც უტყუარ სამხილს. მხოლოდ ღმერთისლა გვჯეროდა ყველას, ძლივს გადატანილ დღეების შემდგომ, და, აი, უკვე გამოჩნდა შველა, არადა, როგორ გვიჭირდა ერთ დროს...

პაატა სურმანიძე

სიყვარულის პიეტა

უვნებოდ ვევენეთ, ვევენეთ არმურით, ხელში პოეტი მანამ გაკვდები, სანამ ქმნილება ვენერამური პარიზის გულში აქანდაკდება. გული მკვლელ ისრით დაისრულია, უსული სულიც პარისულია, დგება დაისის დასი სრულიად, ცის ქაფში ლურჯი ქარი სულია. ჩვენს ძეგლს ამკობენ სატრფოს ტიტებით და ეროსული დროით დგებიან. უფრო და უფრო აფროდიტებით, კუპიდონებიც ფროიდდებიან. ჩვენი შემყურე მათ აქვთ ოცნება, წმინდა, ხელუხლებ, პირველ ტრფობაზე. პეპლური ფრთების გაცისკროვნება, სურვილებს უჩენთ პიეტობაზე. ცისფერ მელნით ვარ შენზე კალმური, ლირიკის ქნარმა გქმნა არაკებით, ვდგავართ წრის ფორმით - ვენერამური, ანდროგინული აქანდაკებით. პოეტ პოეტიშვილი

ლურჯი პიეტა

ტკივილს ყოველთვის მიქებ, მტანჯველო, ჩვენკენ იბრუნებს პირს ჯულიეტა, რომ გამოკვეთოს მიქელანჯელომ მარმარილოდან ლურჯი პიეტა. პოეტი - მალალ ცის პიონერი, ქალი ჰგავს მარტის ქარის მოქცევას. მზე-ლურჯი რჯულის მისიონერი, რომელიც ცდილობს მთვარის მოქცევას. გხატავ გვირილას მზის სილუეტად, რის მაქნისია ჰო, რის ის იდა... შენ ტრფობით მიდგას სული პიეტა, გულს რომ მანვლავს ჰორის ისიდა. ან მარადისი , ან აქ რომია, როს არის ბროლის ბუ ნოვატორი, ლურჯ მოსახლამში ანა ქრომია, უფლის პერანგში ბუონაროტი. ტანჯულ მიჯნურის არფა სულია, როს აღიარებს რჯულს ჯულიეტას. მარად თოვლის ქვეშ დაფარულია, ქვის სიმფონიით ლურჯი პიეტა.

თოვლის პიეტა

ქართველ პიეტას ცის ფერიები გრთავენ სითეთრის რბილი სიციხეებით. ნორჩ გვირილების მზისფერ ციებით, გაათბე დედა თბილისი თოვლით. ცის მითითებით არამითო ვლი, თოვლს მოგაგებენ პატივს მგოსნები და ჩემზე იყოს არამი თოვლი, თუ თაყვანს არ გცემ პატიოსნებით. ძირს თუ სამეფო ეტლებით ილტვით მზის პატარძლები, საფარ ფატებით, მაშინ მუცელში პეპლები მივლის, ამურულ ფრთების აფარფატებით. ღმერთმა მოუშვა თეთრი წვერები, სულში რომ ვუშვებ ციურ შუქითა თოვლზე დავდივარ ფეხისწვერებით, სულიერ პეპლის სიმსუბუქითა. თოვლს გელოდები ხანგრძლივ ოცნებით, ერთგულად, როგორც ცის ტერიერი, რომ ორფიკული მანდილოსნებით მოგიწყოს წმინდა მისტირები. ჩემი ვერ ფლობით თბილისელები წინასწარ მგლოვობთ, მარდად, წრიულად, მე სუფიური შლილი ხელებით,

ვბრუნავ, თოვლს გეტრფი მარადიულად. ღია თვალეში მწუთხით სოველი, თოვლის აღდგომით წამ-წამს მინდები. მარადიული წუთისოფელი, შენთვის რომ განველო ამთანმინდებით. ათოვს დედაქალს თლილი სითრთოვლით, გადაუხადეთ ალაპი ნეტარს. ხელებზე გინვენ თბილისის თოვლით დასატირებლად, მალალ პიეტას.

ოდა მარიამს

მზეს თოვლში გნათლავს სადაისე ცა, თეთრ დაფნას რომ მფენ მადონას დასით. გამეხსნა ლოცვის მადა ისედაც და ადონაის ადონაისი. სპეტაკ სპეტაკელმა ცრემლი მადინა, შენც დამიტრებ პირსველ პიესად. პოეტს მენვევი მუზის მადონა, ჯვარცმული ლექსის პირველპიეტად. ღმერთმა რომ ხელი დამადო ნებით, ვიგრძენ შეხებით უზადო სული. მარიამებით და მადონებით, ბევრჯერ იქნები მუზად მოსული. მესმის მესიის მესა ხნოვანი, სული ფრან-გულმა მოდამ არია. ექო მეძახის ზესამხმოვანი და ღვთაებრივი ოდა, მარიამ!

მარადქალწული მუზა

ქალწულ მუზაზე მწინდავს სტროფი მე, ვექებ შორეულ სავანს გოგენის, რომ ვნახოთ არლში წმინდა ტროფიმე და მზის ნატურა სავანგოგენი. სულს სწევს ღვთიური ტემპერატურა, როცა გიგალობ ანჩისხატმღერი. სიტყვის გზას ღებავს ტემპერა ტურად, ლექსის სახედ გწერ მუზის ხატმწერი. ლექსის ხატად გწერ მუზის ნატურას, ღვთისმშობლის ხატად, დარად, სახებად. ყრმა გვირილა ხარ თუ მზის ხატურა, რომ ვერ გიმეტებ თვალმესახებად. მუზის ხატად გწერ სიტყვის მხატვარი, თავს არ მოგანყენ თუ ნამეტარი. მარტივლურ ფიქრით ითქმის მთავარი, შენზე ვლოცულობ მუზა, ნეტარი. ჯვარცმული სული სადღაც აღდგება, წერს ისტორიას ამური, კლიო და თვალს აყოლებს ცადამალლებას პარიზი, ლექსი და მურილიო.

ავრორა ბორეალი

მკლავ, კვლავ შავ როლის ბორიალით, ელვამი ვივლი მეტი ალით. გექებ ავრორა ბორეალის, მუზის პოლუსზე ხეტიალით. აქროლდა სულის როიალი, ობოლ ამბორის ბორიალით. შენამდე ისე შორი არი, როგორც ავრორას შორს ციალი. პოეტს -უკვდავი მორი ელის. მუზას- ავრორა ბორეალი. მთვარე, ვით ვერცხლის მორიელი, გიჟდება მარტის ძრომიალით. ჩამითრევ ქაფის მორევს, ქალი, ლურჯ-თეთრ ქაფიდან ვიბადებით. სად ხარ, ავრორა ბორეალი, ნუთუ შორიშორ ვიბადრებით. როგორ გაკოცებ ამბორის ქალს, თავზე დაჰყურებ ზემო ციალს, სიკვდილს უქაღი ამ ბორიალს, პოლუსზე მიხსნი მემორიალს. ველარ ვიკავებ ემოციას, მაშინებ, როგორც ლორელაი. უცებ რიჟრაჟმა შემომცინა, ქარმა წამილო ბორეალის.

სტუმრად ჩვენებურებათა

„აჰ, სოფელი, რამდენ ხარ, რას ვგაბრუნებ, რა ხე გჭირს, ყოველი შენი მონდობილი ნადავლია ჩემი ტირისა, სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?! მაგრამ ღმერთი არ გასწორავს კაცსა, შენგან განანოსა.“

ცხელი ზაფხულის ხვატი გათანგულეები იმედიანად მივემგზავრებოდით ბათუმში, რათა მეტად საინტერესო იდვიტ განხორციელებაში ჩავრთულიყავით და აჭარის მწერალთა რეგიონალური ორგანიზაციის და აჭარის მწერალთა სახლის თაოსნობით დაგეგმილ თურქეთში „ჩვენებურებთან“ სტუმრობის აქციაში მონაწილეთ შევერთებოდით. 4 ივლისს, დილით გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია თურქეთისკენ, რომლის შემადგენლობაში ვიყავით: აჭარის მწერალთა რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძე; აჭარის მწერალთა სახლის დირექტორი ლალი კონცელიძე; მწერალი, მთარგმნელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თინა შიოშვილი; ანალიტიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე; პედაგოგი რუსუდან გორგილაძე; ქართულ-თურქული ლიტერატურის პროექტების აქტიური მხარდამჭერი მერი დიასამიძე; აჭარის მწერალთა სახლის მენეჯერი მარიკა ლაშხია; აჭარის მწერალთა სახლის ფინანსების მენეჯერი ცირა ბებიაშვილი; გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი ალექსანდრე ჩხარტიშვილი; გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი მანანა გორგოშვილი; მწერალი, ჟურნალისტი ციცი გურიელი; პოეტი ცისანა ანთაძე; ტურ-ოპერატორი ოთარ ფუტყარაძე.

დელეგაციის ძირითადი მიზანი იყო ქართულ სათვისტომოებთან შეხვედრები, მათი გაცნობა და, რა თქმა უნდა, სამომავლო ერთობლივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაზე მსჯელობა. მაგრამ იმ დროის განმავლობაში, რაც თურქეთში ვიყავით, შეხვედრებს ვმართავდით, ვეცნობოდით იქაურ ქართველობას, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ გულწრფელი ემოციისა და გამოხატული მონატრების გამო, რაც იქ ვიგრძენით. ცრემლის გარეშე ვერც ერთ ღონისძიებას ვერ ვტოვებდით და განშორებაც ისეთი რთული იყო, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდით სულ რამდენიმე წუთის წინ გაცნობილ ჩვენებურებს.

უდიდესი მადლობა აჭარის მწერალთა სახლს, რომლის ინიციატივით შედგა გაცნობითი ხასიათის ეს არაჩვეულებრივი მოგზაურობა. გულწრფელი მადლობა: ტრაბზონში საქართველოს გენერალურ კონსულს, ბატონ გელა ჯაფარიძეს; ქალაქ უნიეს მერს ბატონ ჰუსეინ თავლის, უნიეს მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ მეჰმეთ უთუს; ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ ომერ სემიზს; საქარას ქართველ-ლაზთა ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ მუსტაფა ქოლათს (კოლოტაშვილი), ერდოლან შენოლს (ერეკლე დავითაძე); სტამბოლის ბეიქოზი-ბათუმის ქართული კულტურის საზოგადოების თავმჯდომარეს ბატონ ალი ქემალ ქილიჩს; სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის თავმჯდომარეს ქალბატონ სეზენ გონენჩ ოქჯანს (სალომე ბარამიძე), ბატონ ორჰან ბერიძეს; სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლს, ბატონ იბერია მელაშვილს; იზმირის ქემალფაშას მერს ბატონ რიდვან ქარაქაიალს; იზმირის ქართული მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ ილქერ

ილმაზ პაპუაშვილს; ორჰანგაზის კავკასიური ფოლკლორისა და დახმარების ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ ადემ თურანს; ბალიქესირის დედაენის კურსების მასწავლებელს, ჟურნალისტი ბატონ რამაზან აიდინსა (კილაძე) და მის მეუღლეს... სიყვარულით სავსე მასპინძლობისთვის; ბეიქოზის რაიონის გაზეთს „დოუმ ჰაბერ“ „Doğuş haber“ ბატონ zan Derviş-ს; ქალაქ უნიეს გაზეთს „Kent“ „qenTi“, ართინის გაზეთს „haber 61“ „aber 61“ და „თაქა ჰაბერ“ „Taka haber“ ამ მოგზაურობის საინტერესოდ გაშუქებისთვის, ჟურნალისტს ბატონ აჰმეთ ქულექჩს...

„გაცნობა შედგა. ახლა უნდა დავეგეგმოთ ღონისძიებები და სიყვარულისა და მეგობრობის ცეცხლი დავანთოთ საზღვრის ორივე მხარის ქართველობას შორის და არა მხოლოდ მათ შორის, ორ მეზობელ ქვეყანას შორის...“ ასე გამოეხმაურა ქალბატონი მერი დიასამიძე ჩვენს ვიზიტს და არ შემოძლია ორიოდ სიტყვით არ გაგიზიაროთ ჩემი ემოცია, თუ როგორ ხვდებოდნენ ქალბატონ მერის და ჩვენს დელეგაციას ჩვენებურები. მათ თვალეში მადლიერება, სიხარული, სიყვარული, მონატრება იკითხებოდა. განსაკუთრებით ქალბატონი მერის მიმართ, რადგან მას მასწავლებელს ეძახდნენ. დიას, ქალბატონი მერი შეხვედრის შემდეგ გვიზიარებდა, თუ როგორ ასწავლიდა წლების მანძილზე თურქეთის ქართველობას მშობლიურ ენას.

კიდევ ერთი ემოცია მინდა გაგიზიაროთ ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, ციცი გურიელის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული: „იმდენი ვიარეთ, იმდენი, რომ თითქოს ცხრა ზღვა გადავცურეთ და ცხრა მთა გადავიარეთ! (თუმცა არც არაფერი დაგვიკლია, თუ არ გადაგვიჭარბებია!). ბათუმიდან დავიძარით და გავუდექით დიდ გზას, თურქეთელ-ჩვენებურ ქართველებისკენ!.. გული უცნაურად მიცემდა, მე ხომ იმათთან შესახვედრად მივდიოდი, ვისაც დღემდე ქართული გული უცემს მკერდში, ვისაც ვინ იცის, როგორ ეფიქრებოდა და ელანდებოდა უკვე წარსულის ექოდ გამქრეული, ქართველობის სევდიანი საგალობელი!.. ყოველი შეხვედრის შემდეგ გული ჩუმად მიტიროდა, ოდესღაც ქართულ მინაზე დავაბიჯებდი და საქართველოს სიყვარული რომ დაუდიოდათ ძარღვებში სისხლად, იმ ხალხს ვესაუბრებოდი!.. ნეტავ განახათ, როგორ ეფერებიან, გულში იხუტებენ ქართულ ენას და ანბანს, ცდილობენ მომავალ თაობებს გადასცენ ქართულ ცეცხლებში, სიმღერებში, ეროვნულ სამოსში ჩაქსოვილი ფესვების სიყვარული!.. განა რამ უნდა დამავიწყოს მათი ქართული სხივით ანთებული თვალეები! განა რამ უნდა გამიცვიოს იქ დარჩენილი იმედის სითბო!.. სითბო - ერთობის, სიყვარულის და ქართველობის განუმეორებელი სითბო!..“

ძალიან მოკლედ გიამბობთ შეხვედრების შესახებ. ტრაბზონში შეხვედრაზე სტუმრებს გენერალურმა კონსულმა

გელა ჯაფარიძემ ინფორმაცია მიანოდა თურქეთში მოქმედი ქართული ისტორიული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობისა და აქ მცხოვრებ ქართველებთან გენერალური საკონსულოს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რასაც ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ჩვენ რამდენიმე დღის განმავლობაში უნიეს, ჩარშამბას, სტამბოლისა და იზმირის ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრები გავმართეთ. ამასთანავე, გენერალურ საკონსულოს საჩუქად გადავცეთ ქართული წიგნები, რომლებიც დღეიდან გენერალური საკონსულოს ბიბლიოთეკაში დაიდებენ ბინას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 6 ივლისს შეხვედრა სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლში - იბერია ოქჯან-მელაშვილთან და მის საოცარ ოჯახთან, დაუფინყარი დღე და უზომოდ ემოციური და დამაფიქრებელი. ბატონი იბერია უკვე გველოდებოდა, დარბაზში მის ოჯახთან ერთად სხვებიც იყვნენ - ჩვენებურები, რომლებიც ბატონმა იბერიამ გაგვაცნო. მერე კი პატარა ფილმის ჩვენება მოგვინყო, რაც ისედაც ამ დღეების მანძილზე უკვე დაგროვილი ჩვენი სევდიანი განწყობის დაგვირგვინება აღმოჩნდა და ცრემლის გარეშე ვერ შევძელით გვესმინა და გვეცქირა, თუ როგორ მღერიან, ცეკვნიან, თუ რა ქართული ჩვენები ვხედავთ... ქართულ კვებს... ვახერხებ

რებს, ცეკვნიან, თუ რა ქართული ჩვენები ვხედავთ... ქართულ კვებს... ვახერხებ

რებს, ცეკვნიან, თუ რა ქართული ჩვენები ვხედავთ... ქართულ კვებს... ვახერხებ

რებს, ცეკვნიან, თუ რა ქართული ჩვენები ვხედავთ... ქართულ კვებს... ვახერხებ



Gürcü heyet Gürcü Kültür Derneklerini ziyaret etti

სიმღერებს მღეროდნენ, მჭადსა და მხალ-ლობიოს მიირთმევდნენ, იმ ენაზე საუბრობდნენ, რომელიც მხოლოდ მათი მოდგმის ხალხმა იცოდა.

დროის უკუღმართობის გამო თავის ნაჭუჭში ჩაკეტილმა გურჯებმა საქართველოს არსებობის შესახებ არც იცოდნენ. წინაპრებისგან მხოლოდ ის ჰქონდათ გაგონილი, რომ მათი „დიდ-დედეები სულის გადასარჩენად რუსთა მეფეს კავკასიიდან გამოექცნენ“.

მათთვის მხოლოდ დიდი, წითელი იმპერია არსებობდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. საქართველოს, მათ დედასამშობლოს, არავინ ახსენებდა...

აჰმედ მელაშვილის მეგობარმა, ილია ხიმშიაშვილმა მეჩეთის წინ დაიფიცა: „საქართველო - ასეთი ქვეყანა რომ იყო, ნამდვილად არ ვიცოდი. გვეგონა, გურჯები მხოლოდ ჩვენ ვიყავით და ისიც თურქეთში ვცხოვრობდით... საქართველო - ასეთი სიტყვა არ ვიცოდით. ამბობდნენ მხოლოდ, რუსეთი, რუსეთი. ვკითხულობდით: „ჩვენი სამშობლო თუ რუსეთია, ჩვენ საიდან მოვედით? ვინ ვართ? სად არის ჩვენი წყარო? რუსებს არაფერი გვიგავს, მათ ენაზე არ ვლაპარაკობთ, მათი ტრადიციები ჩვენთვის უცხოაო, მაგრამ პასუხი არ ჩანდა“.

უკვე ამ დროისათვის აჰმედს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თურქეთის ქართველებში. იგი აქტიურად იკრებდა გარშემო ქართველებს და აცოცხლებდა მათში ქართული ეროვნული ღირსების გრძნობას. მელაშვილმა დაწერა წიგნი ქართველების შესახებ, სახელწოდებით „გურჯისტანი“. ამ წიგნის გამოცემა იმდროინდელ თურქეთში სენსაციად იქცა, რადგან ეს იყო პირველი სერიოზული მონოგრაფია, რომელიც ჩვენებურებს ისტორიული სამშობლოს შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. ამისთვის საჭირო თანხა ვერ შეაგროვა, თუმცა მიზანზე უარი არ თქვა და მის განსახორციელებლად, სახლის საყიდლად ოჯახის მიერ დიდი ნვალეებით შეკონინებული თანხა გამოიყენა, მაშინ, როცა ოჯახი საკუთარ კუთხეს ნატრობდა და ბინის ქირის გადახდა ძალიან უჭირდათ. ამ წიგნის გამო ორი თვე ციხეშიც გაატარა, კომუნიზმის პროპაგანდა დასწამეს, მაგრამ საბოლოოდ, გაამართლეს. სამაგიეროდ, მიზანი მიღწეული იყო, „გურჯისტანი“ ხელიდან ხელში გადადიოდა და მისი საშუალებით, თურქეთის ქართველობამ „მემღევეთი“ აღმოაჩინა. „გურჯისტანის“ გამოცემა ეპოქალური მოვლენა იყო თურქეთის ქართველებისთვის. ის კრებულთ თურქეთელ ქართველებს პირველად მიეწოდათ რეალური ინფორმაცია საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

70-იანი წლებში ინეგოლში ახმედ მელაშვილის, ვახტანგ მალაყაძისა და სხვათა მონდომებით, დაარსდა ქალაქ ინეგოლის „კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება“, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანი ცენტრია და აგრძელებს არსებობას.

მისი დიდი მონდომებით გამოიცა ჟურნალი „ჩვენებურები“, რომლისთვისაც საჭირო ფინანსები საკუთარი ჯიბიდან გაიღო. ჟურნალის პირველი ნომრის დაბეჭდვის შემდეგ, მისი ცოლ-შვილი ორი კვირა მოხარშულ კარტოფილს ჭამდა, რადგან ოჯახში პურის ფული არ ჰქონდათ. ჟურნალის პირველივე ნომერში ნახავთ სტატიებს: თამარ მეფეზე, ლაზურ ფოლკლორზე, ქართულ სპორტსა და კულტურაზე, ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“. მისი ინიციატივით აშენდა თურქეთის ქა-

რთველთა ქართული კულტურის სახლი სოფელ ჰაირიეში. ამისთვის გერმანიაში საშოვარზე წასული ქართველები მოიარა და საჭირო თანხა ასე მოაგროვა.

ახმედ მელაშვილის მოღვაწეობის მრავალი ასპექტია ცნობილი: მან დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ეროვნულ ფოლკლორს. გარდა ამისა, თურქულად თარგმნა და გამოსცა ქართული ლიტერატურის ნიმუშები. გამოაქვეყნა სტატიები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. სიცოცხლის ბოლო წლებში თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ მისი გამოცემა ვეღარ მოასწრო. იმდროინდელ თურქეთის მესვეურთა სტრატეგია არ ითვალისწინებდა ადგილობრივი ეთნიკური კულტურების განვითარებას. ამიტომ, ბუნებრივია, მელაშვილის საქმიანობასაც ტაშით არ შეხვდებოდნენ...

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ახმედმა შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. 1978 წელს ის საქართველოში უკანასკნელად იმყოფებოდა.

თურქეთისთვის 1980 წელი მშფოთვარე იყო, აჰმედ მელაშვილისთვის კი ტრაგიკული აღმოჩნდა. მძვინვარებდა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, ანარქია და ტერორი, რომელსაც უამრავი პროგრესული შეხედულების მქონე ადამიანი ემსხვერპლა. მათ შორის იყო აჰმედ მელაშვილიც. ემუქრებოდნენ, შენც მოგკლავთ და შვილსაც მოგიკლავთ. „ცუდს არაფერს ვაკეთებ, პოლიტიკურ საქმიანობას არ ვეწევი, კულტურის განვითარებას, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების დამყარებას ვემსახურები და მე ვინ რას მერჩისო“, – ამბობდა, მაგრამ... 1980 წლის 5 ივლისს, ქალაქ ბურსაში თურქმა ულტრა-ნაციონალური დაჯგუფების „რუხი მგლები“ აქტივისტებმა სახლიდან გამოსული აჰმედ მელაშვილი ავტობუსის გაჩერებაზე ჩაცხრილეს, მასთან ერთად დაიჭრა აჰმედის ვაჟი - იბერია. დიდი ქართველი მოღვაწე 58 წლის იყო, აჰმედ ოზქანი (მელაშვილი) სოფელ ჰაირიეში დაკრძალეს, მის საფლავს ქართულ-თურქულად აწერია: „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისთვის და არა უკვდავებისთვის“. მის მიერ ქართული სულის აღორძინებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილის გამო მას ასევე მოიხსენიებდნენ როგორც, თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძედ.

აჰმედის მკვლელობით დიდი ხნით შეფერხდა ქართველთა ეთნიკური კულტურის გადარჩენის საქმე. თუმცა 90-იანი წლებიდან ისევ აქტიურად გახსნა, მამის საქმე მისმა ვაჟმა იბერიამ გააგრძელა. „ჩვენებურებს“ დაემატა ორენოვანი ჟურნალი „ფიროსმანი“ (რედაქტორია ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე ფაჰრეთინ ჩილოღლუ (ფარნა ჩილაშვილი), აგრეთვე გაიხსნა რამდენიმე ქართულენოვანი რადიო. დღეს ახმედის გზას აგრძელებს მისი ოჯახი. ვაჟიშვილი იბერია მელაშვილი ათწლეულებია, ხელმძღვანელობს ქართულ ფოლკლორულ ანსამბლს, „კავკასიის მთას“.

უკან დაბრუნებისას, როდესაც ტრაპზონს გამოვცდით, ქალბატონი მერის ტელეფონზე ზარი შემოვიდა. მასთან ბალექისის დედა ენის კურსების მასწავლებელი რამაზან აიღინი (კილაძე) რეკავდა. მას შეუტყვია ქალბატონი მერის სტუმრობა და შეხვედრას სთხოვდა. მოვითათბირეთ და მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის მანძილზე ჩატარებული ღონისძიებებისა და შეხვედრების შემდეგ მართლაც ძალიან

დაღლილები ვიყავით, უარის თქმა ნამდვილად უხერხული იყო. ბატონმა რამაზანმა იმ კაფეს და ადგილის სახელი შეგვატყობინა, სადაც გველოდებოდა. რამდენიმე წუთში მივადექით გზის პირას ლამაზ გარემოში მოწყობილ სწრაფი კვების ობიექტს. ჩვენს მანქანას ბატონი რამაზანი მეუღლესთან, ქალბატონ მუნევერთან ერთად დახვდა და შეგვიპატიჟა. ამდენი დღის შემდეგ თუ კიდევ რამე გავაკვირებოდა, ნამდვილად არ ვიცოდი. ჩვენს საკმაოდ მოზრდილ დეღეგაციას უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით შეგვეგება კილაძეების ოჯახი. მან ბევრი რამ გვიამბო ქიქა ყავაზე გამასპინძლებისას და ჩვენც მრავალი კითხვა დაგვისვა. განსაკუთრებით მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მუნევერმა გაგვაცოცხლა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა ჩვენს დაპატივებას უკვე მათთან ოჯახში. მაგრამ ჩვენი ვიზიტის დრო უკვე ამონურული იყო და ჩვენ მეორე დღეს სამშობლოში უნდა დავბრუნებულიყავით. და ამ დროს ჩვენი ყურადღება გვერდით მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდა გოგონების ჯგუფმა მიიპყრო. თინიჯერები იყვნენ და ვერაფრით ვერ გაგვეგო, რატომ დაინტერესდნენ ჩვენით და რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით რატომ გვითვალთვალებდნენ, თითქოს ჩვენთან გამოლაპარაკება უნდოდათ. მართლაც ცოტა ხანში მათგან ერთ-ერთი გოგონა წამოდგა, მოგვიახლოვდა და ქალბატონ მერის გამოელაპარაკა. ყველა ყურადღებით ვუყურებდით მათ საუბარს და ქალბატონი მერის სახეზე აღბეჭდილი გაცოცხლება, გაკვირება, რაღაც უცნაური გამოიმეტყველება იმდენად საოცარი იყო ჩვენთვის, ყველანი წამოვიშალეთ და მათთან გაეჩნდით, მათი მაგიდიდანაც დანარჩენი გოგონებიც შემოგვიერთდნენ. ერთი სული გვქონდა, ქალბატონი მერი რას გვეტყობდა. რატომ დაინტერესდნენ ეს ახალგაზრდა გოგონები ჩვენი ჯგუფით. ქალბატონი მერიც თითქოს გვცდიდა და სულაც არ ჩქარობდა, ჩვენთვის აეხსნა მათი დაინტერესების მიზეზი. და წარმოუდგენელი რამ აღმოჩნდა, ეს გოგონები თითქმის ორი საუკუნის წინ აფხაზეთიდან გადმოსხენილი მუჰაჯირების შთამომავლები იყვნენ და ჩვენი ქართული რომ გაიგეს, (არ ვიცი, როგორ, რანაირად) შემოგვიერთდნენ. მართლაც, „სადაურსა სად ნაიყვანო...“ ბურსელ აფხაზ გოგონებთან ფოტოები გადავიღეთ, ვისაუბრეთ, ცრემლიანი გამომშვიდობებით დაეცვლილთ და მთელი გზა გაცოცხლებები ვეკითხებოდით ერთმანეთს, თურქეთში მცხოვრებმა აფხაზთა ახალგაზრდა შთამომავლებმა გვიცნეს, მოგვიახლოვდნენ, მოგვეფერნენ... ისინი ალბათ არც აფხაზეთში იქნებიან ნამყოფი და არც საქართველოში, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განანირსა“.

კიდევ ბევრი რამის მოყოლა მინდოდა, რაც ჩვენი თურქეთში ჩვენებურებთან შეხვედრებისას მოხდა, იმდენად მრავალფეროვანი, ემოციური, საინტერესო იყო ეს შეხვედრები, ჩვენი გაზრევის ფორმატმა ვერ დაიტია და დანარჩენი სამომავლოდ გადავდე. 11 ივლისს ვბრუნდებოდით უკან, გრძელი გზა გვქონდა გასავლელი, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია ფიქრი იმაზე, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რათა ჩვენი შეხვედრა მხოლოდ შეხვედრად არ დარჩეს და კვალავაც გაგრძელდეს ჩვენი ურთიერთობა ჩვენებურებთან.

მანანა გორგიშვილი



ნანი ახოზაძე - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნანი ვლადიმერის ასული ახოზაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენი საყვარელი ქალბატონო ნანი! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, სათნოებითა და პიროვნული ღირსებით გათვარჯილ ბანოვანს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას ჰყავს ჩინებული შემოქმედი, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც დაუცხრომლად იღვწის ლიტერატურის ისეთ ურთულეს ჟანრში, როგორც მხატვრული თარგმანია და ქართველ მკითხველს გემოვნებიან და მომთხროვნე მკითხველს ძალზე საგულისხმო თარგმანებს სთავაზობს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1981 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეთ დიდი რუსი მწერლის ალექსანდრ ბლოკის უაღრესად საინტერესო ნერილები. მას შემდეგ წაყოფიერდა მოღვაწეობით და თქვენი ცხოვრებისეული წესით უმშვენიერეს მაგალითს წარმოადგენთ იმისა, თუ რა თავდადებათ შეიძლება ემსახუროს ლიტერატორი მშობელ ქვეყანას და ჩუმად, უხმაურად აკეთოს მეტად მნიშვნელოვანი საქმეები.

თქვენი, როგორც მთარგმნელის, ერთ-ერთი უპირველესი ღირსება ისაა, რომ ძალზე დაკვირვებით, დაეგმოვნებით, სათუთად არჩევთ სათარგმნ მასალას, რაც ჩვენს მეტისმეტად პრაგმატულ გარემოში გასაკვირიც კია. თქვენ თარგმნი ივან ტურგენიევისა და ნიკოლაი გოგოლის, ლევ ტოლსტოისა და ალექსანდრ ბლოკის, ნიკოლაი ბერდიაევისა და ვლადიმერ სოლოვიოვის, მიგელ დე უნამუნოს და ჩინგიზ აიტმატოვის, შტეფან ცვაიგისა და ფრანსუა მორიაკის, ანდრე მორუასა და ანდრე მარლოს, ფრენსის ბეკონისა და იოჰან გოტფრიდ ჰერდერის ნერელებს კაცობრიობის განვითარების მტკიცე ნიშნულ პრობლემებზე, ადამიანის რაობაზე, მწერლის როლზე ჩვენს ფეთქებადსაშიშ დროებაზე, რუსეთის ცოდვებზე...

რა გატაცებით და პასუხისმგებლობით თარგმნით მიგვით უნამუნოს „ძირძველობის არსი“, ალბერ კამიუს „ზროვნების უფლებების დასაცავად“, ერვე ბაუნის „ჯინების უნიფორმა“, ვერკოლის „მე მანამ“, უილიამ კუპერის „მძაფრი შერბნების კერა“, რენდოლფ ბორნის „კულტურა და ჩვენი პროვინციალიზმი“, ენცო ბიჯის „იმპერიის დასასრული“, ვუჯენიო გარენის „ლეონარდო და ვინჩის უნივერსალიზმი“...

ვეცნობით რა თქვენს ნაღვანს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა სრულად გაქვთ გააზრებული თქვენი მოვალეობა მშობლიური ლიტერატურის წინაშე. ამის ცხად დადასტურებას წარმოადგენს თქვენი ისეთი ნივთები, როგორიცაა „მწერლის სული“, „ექი ვარ“, „სამყაროს კარიბჭე“, ივან ტურგენიევის „ამალეტი და დონ-კიხოტი“, ლევ ტოლსტოის „აღსარება“, ვლადიმერ სოლოვიოვის „ზნეობა და პოლიტიკა“...

სხვადასხვა დროს მუშობდით გამომცემლობა „განათლების“ ქუთაისის ფილიალის რედაქტორად, ქუთაისის სახელმწიფო არქივის მეცნიერ-მუშაკად, გამომცემლობა „განათლების“ რედაქტორად, ჟურნალ „რანი ვართ ქართველები“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „ჯანსუღ ღვინჯილის“ დირექტორად. ყველას კარგად გვახსოვს, რომ თქვენი მეუღლის - გამოჩენილი ქართველი მწერლის ჯანსუღ ღვინჯილის ვაჟკაცური გარდაცვალების შემდეგ მართლაც რომ რკინის ქალამები ჩაიცვით და ისე შესძლეთ მისი ნააზრევის ხუთტომეულის გამოცემა...

ამიტომაც გვიყვარხართ საქვეყნო საქმეების კეთებით, კედამოსილებით, სათნოებით გამორჩეული მანდილოსანი.

ქალბატონო ნანი! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სულით უბერებელ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მზეგრძელობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ჯემალ ჭელიძე - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ შალვას ძე ჭელიძე.

ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ჯემალ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ვისთან მეგობრობაც დიდი პატივია ჩვენთვის, მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების 85-ე წლისთავს.

თითქმის შვიდი ათეული წლის წინ დაიწყო თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობა, როდესაც 1957 წელს გაზეთ „სტალინის დროში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ილიას წყაროსთან საგურამოში“. მას შემდეგ მართლაც რომ ილია მართლის ნათელი ადგას თქვენს შემოქმედებას და არასოდეს გიღალატათ იმ იდელებისთვის, რასაც ეს დიდი ქართველი ემსახურებოდა. თქვენი ლექსები, ლიტერატურული ნერილები, რეცეპციები, მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე ნივთებად.

თქვენი მრავალფეროვანი ლიტერატურული საქმიანობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თქვენი შეჭიდება მწერლობის ისეთ ურთულეს ჟანრთან, როგორც მხატვრული თარგმანი წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ხართ.

დიდი ღვაწლი დასდეთ უაღრესად მნიშვნელოვანი პოლონური სიტყვაკაზმული ლიტერატურის ქართულ ენაზე ამტყვევლებს. ქართველი მკითხველი სწორედ თქვენი თარგმანებით გაცივროს თ.რუჟვიჩის, ზ. მარხლევისა, ე.სტავინსკის, ს.ბროჟკის ნაწარმოებებს. პოლონური მწერლობის საკანძო საკითხებს მიეძღვნა თქვენი საკანდიდატო ნაშრომიც - „ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი. XIX ს.“ - ამ მონოგრაფიული გამოკვლევისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში პოლონეთსა და პოლონურ მწერლობაზე გამოქვეყნებული სტატიების დიდი ნაწილიც თქვენ გაუთქვით.

გვახარებს, რომ დიდი წვლილი შეიტანეთ ქართული თეატრების რეპერტუარის გამრავალფეროვნებაში. ქართულ თეატრებში წარმოდგენით დაიდგა თქვენს მიერ თარგმნილი ბერნარდ შოუს, თადეუშ რუჟვიჩის, პეტერ ვაისის, სლავომირ მროჟეკის, მარინა ლანდას, ერნესტ ბრილის და სხვათა პიესები.

ყოველივე ეს კი იმის დასტურია, რომ თქვენ ხართ შემოქმედი, რომელსაც დიდად რომ ძალუძს სწორედ ის ნაწარმოებები შესთავაზოს ქართველ მკითხველს, რომელიც გემოვნებას, ეროვნულ ცნობიერებას ჩამოუყალიბებს...

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილი თურქულენოვან...

მრავალი წელი გაატარეთ მთი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, როგორც ამ პრესტიჟული დანსებულების უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა; იყავით საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი და ყველგან სიკეთითა და სათნოებით გამოირჩეოდით, ყველგან სიყვარულის აპოლოგეტად გვევლინებოდით...

თქვენი მრავალწლიანი მუხლნაზურელი მოღვაწეობა ივანე მაჩაბლისა და მიხეილ თუშანიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. სრულიად დამსახურებულად ატარებთ ქართული კულტურის დეკანოზის საპატიო წოდებას. თქვენი ღვაწლი არც პოლონურმა მხარემ დატოვა უყურადღებოდ და პოლონეთის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მოგანიჭათ.

და რაც ყველაზე მეტად ახარებთ თქვენ მეგობარ კოლეგებს, ისაა, რომ არაფერი გეტყვობათ წელთა სიმრავლისა, მკვლევარი შემართებით ერკინებით ქართულ სიტყვას და ამის შედეგია სწორედ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსებისა და თარგმანების ახალი კრებული „ლექსები და თარგმანები“, რომანი „ანარქიკი“, საქართველოს უახლეს ისტორიას რომ ეხება; პიტერ კვლდერის „სტიმეტელი ლამების უძველესი საიდუმლოს“, დიელ კარნევის „როგორს შევიძინეთ მეგობრების“, დოროთი კარნევის „როგორ დავეცხმართ ქმარს წარმატების მიღწევაში“ თქვენული თარგმანები.

ბატონო ჯემალ! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სულით უბერებელ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მამუკა დოლიძე - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი მამუკა გივის ძე დოლიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო მამუკა!
ჩვენი ძვირფასო თანამოქალაქე!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდხე დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-მემორიალური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დაბა, ნახევარი საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი სამწერლო კურთხევა მოხდა. 1974 წელს ჟურნალმა „ცისკარმა“ დაბეჭდა თქვენი პირველი მოთხრობა „მოლოდინი“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, რომანები, პიესები, თარგმანები, ფილოსოფიური ტექსტები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო და სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე... ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველესად, შესანიშნავ პოეზიასად გიცნობს, რომლის რომანები და მოთხრობები კრებულები, ისეთები, როგორცაა „ფიქრის გორა“, „არაფრის შესახებ“, „პიკის საათი“, „მდგმურები“, „გზა“, „გასეირნება დროთა სივრცეში“ და სხვები ბევრ რამეზე დააფიქრებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, მისი წარსული, აწმყო და განსაკუთრებით კი - მომავალი. ამ თხზულებებში ჭეშმარიტი შემოქმედის სულიერი ღალადისა აღბეჭდილი. საოცრად ზუსტი მწერლური ალღო, ტიპებისა და ხასიათების ძალაუფლებილი შექმნის უნარი, ღრმა ფსიქოლოგიზმი და იუმორის შეფარული გრძობა გამოარჩევს მათ და ყოველივე ეს თანამედროვე ქართული მწერლობის ავანგარდში გააჩნდება.

ამავე დროს, თანამედროვე ქართული დრამატურგია წარმოდგენილია თქვენს გარეშე. ქართული თეატრები მუდამ დიდი ხალხისათვის დაგმდნენ თქვენს პიესებს („ხმებისა და ჩრდილები“, „ქურდი“, „თამაშვარე დარჩენილ თეატრში“, „მდგმურები“...). განსაკუთრებული წარმატება ამ უკანასკნელს ხვდა წილად, რომელიც მტკიცის თეატრში დაიდგა; მის მიხედვით კინოსტუდია „ქართულ-ფილმი“ სრულმეტრაჟიანი ფილმი შეიქმნა, რომელიც დიდი მონონებით სარგებლობდა. „მდგმურები“ სატელევიზიო პიესადაც იქცა.

თქვენს შემოქმედებას ინტერესით ეცნობიან ინგლისელი, გერმანელი, რუსი, მკითხველები. თავდაცვ ჩინებულად თარგმნენ რობერტ ჰამფრის „ცნობიერების ნაკადი თანამედროვე პროზაში“.

როგორ შეიძლება ცალკე არ ითქვას იმაზე, რომ თქვენ ქართული ფილოსოფიური სკოლის მეტად საგულისხმო წარმომადგენელი ხართ. თქვენი საკანდიდატო („მიზეზობრიობის და დამატებითობის კატეგორიათა ურთიერთკავშირის დიალექტიკა“, 1981 წ.) და სადოქტორო („დამატებითობის პრინციპი კვანტურ მექანიკაში და ფენომენოლოგიური მეთოდი სიტყვიერ ხელოვნებაში“, 1990 წ.) მონოგრაფიები ამის ჩინებული დასტურია. მკითხველის დაინტერესება გამოიწვია ბოლო დროს გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ „ფენომენოლოგია - როგორც შემოქმედების ფილოსოფია“. თქვენი ფილოსოფიური თხზულებებით არაერთხელ დაინტერესებულან სოლიდური უცხოური ჟურნალები თუ გამოქვეყნდნენ. მაგალითისთვის ისიც კი იკმარებდა, რომ გამოქვეყნდებოდა „სპრინგერის“ (აშშ), ყოველწლიური კრებულ „ანალიტიკა პუბლიკაციაში“ დაიბეჭდა თქვენი ისეთი ფილოსოფიური ესსეები, როგორცაა „ეკო-ფენომენოლოგია, ცნობიერების მთლიანობა და შემოქმედების ფილოსოფია“ და „ეკოსფერო პარამონია, სიცოცხლის წარმოშობა და ადამიანის ცნობიერება“, ხოლო მადრიდის ნაციონალური უნივერსიტეტის მხატვრულ-ფილოსოფიურმა ჟურნალმა „სერტამ“ გამოაქვეყნა თვენი მეტად საყურადღებო სტატია - ესეე „ანალიტიკა სიცოცხლის ონტო-პოეზიასა და კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგიას შორის“... წლების განმავლობაში მუშაობდით საგულე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის განყოფილების გამგედ, ლონდონის უნივერსიტეტისა და იტალიის ქალაქ მანერატოს უნივერსიტეტის ვიზიტორ-პროფესორად, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის პროფესორად. სხვადასხვა დროს იყავით ჟურნალ „ხელოვნების“ პასუხისმგებელი მდივანი, დააარსეთ და თავად რედაქტირობდით ჟურნალ „კულტურა და ფილოსოფია“, არჩეული იყავით ასოციაცია „მნათობის“ გამგეობის წევრად; უცვლელად მონაწილეობდით ბიჭვინთა-ქობულეთის დრამატურგთა სემინარებში...

დავიღლოებული ხართ „საბას, ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიებით, ინგლისში ჩატარებული „ევროდრამის“ საერთაშორისო კონკურსის გრან-პრით. ბატონო მამუკა!
კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს უებრო სამსახურში გათვრთვულ ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნიკოლოზ იოსელიძე - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ნიკოლოზ იოსელიძის ძე იოსელიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო ნიკოლოზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ამგვარ, ღვანღმოსილ შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-მემორიალური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

1972 წელს ჟურნალ „ნიანგი“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ თქვენი ლექსები, მოთხრობები, საბავშვო და სატირული ნაწარმოებები, სამეცნიერო მონოგრაფიები პერიოდულად იბეჭდება ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი ბავშვების საყვარელი პოეტი ხართ. თქვენი საყვანვილო ლექსების კრებულები („ჭორიკანა მელა“, „ვარსკვლავმა რა გვიჩურჩულა“, „საბავშვო ლექსები“) მათ სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად ზრდის, ასწავლის ვაჟაცობას, კეთილშობილებას, ქედუხებლობას, აყალიბებს მართალ და პატიოსან მოქალაქეებად.

ჩვენ ვაფასებთ თქვენს ლირიკულ და სატირულ ლექსებს, მოთხრობებს, რომლებმაც დაივიწყა ისეთი კრებულები, როგორცაა „გულისთქმა“, „ინტერვიუ“, „ცრემლიანი ღიმილი“...

ფართო საზოგადოება გიცნობს, როგორც დიდებულ ბიოლოგს - ბიოლოგიის დოქტორს, თქვენ ხომ ბრძენი მინდიას დარად გატაცებით იკვლევთ საქართველოს ფლორას, სამკურნალო მცენარეებს. არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევისა თუ სამეცნიერო შრომის ავტორი ხართ. მრავალწლიანი კვლევის შედეგად შექმენით ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელი ნაშრომი „ყველაფერი საოჯახო მეურნეობის შესახებ“, აგრეთვე მონოგრაფია „ყველაფერი სამკურნალო მცენარეთა შესახებ“. თქვენი ავტორობით გამოიცა 12 „მემამულის კალენდარი“. წლების განმავლობაში დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდით „კვირის პალიტრის“ ისეთ მეტად მნიშვნელოვან რუბრიკას, როგორცაა „მამულ-დედული“.

მეტად საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით ახალი სამგორის საშუალო სკოლის პედაგოგად, გარდაბნის მეურნეობის აგრონომ-ბრიგადირად, საქართველოს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის ნიადაგმცოდნედ, საართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად.

ბატონო ნიკოლოზ!
ბედისწერამ ბოლო წლებში არაერთი განსაცდელის წინაშე დაგაყენათ, მაგრამ ვერ გატეხათ, ვერ დაგჯანბნათ. ვერ დაგჯანბნათ, რადგანაც ქართველთათვის ჩვეულებრივად შეგებდით შეხვედით ყველა გამოწვევას და ქედი არ მოუხარეთ თქვენს თავს დატეხილ ტრაგედიებს.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნანა ნიკლაური

ორი არსება

ეპიგრაფი...

ასე მგონია ორი ვარ და ვებრძვი ერთმანეთს, ეს გაორება ამ სულ-ხორცის გლეჯად მიჯდება, ქართველთა და საკუთარ მტრებთან ბრძოლაზე მეტად, თვითონ ჩემს თავთან ბრძოლა უფრო მეტი მიხდება...

* * *

დაუნდობელი ორი არსება სასტიკად ებრძვის ერთმანეთს ჩემში, უკან დახევა არა სჩვევიათ, თითქოს მახვილი უჭირავთ ხელში, თმებს აწინკნიან მერე ერთმანეთს, მუშტებს ურტყამენ, სწვდებიან ყელში, მარცხგანცდილისგან გამარჯვებულზე დროშა გადადის ხელიდან ხელში. შეჭიდებული ორი არსება ერთმანეთს ებრძვის სასტიკად ჩემში, თვითონ არ ვიცი მე ამ ორიდან ჩავარდნილი ვარ რომელის ბედში. ხან ვხდები მშვიდი, როგორც ბუღბუღი სევდიან ჰანგებს რომ მიმოაბნევეს, სალამოს ბინდში თვალ მინაბული სატრფოს უყვება მთა-ბარის ამბებს. ხან გრიგალი ვარ გადარეული, ხან ზღვის ტალღები კლდეზე მსხვრეული, ზოგჯერ საერთოდ ვერაფერს ვხვდები, ხან ყოვლის მხედი, როგორც გრძნეული. ხან მთელ სამყაროს ვეჩურჩულები, ხან ჩემს ცხვირწინაც ვერაფერს ვხვდავ, ზოგჯერ მგონია ლომს დავამარცხებ, ზოგჯერ შიშისგან თქმასაც ვერ ვხვდავ. ხან დავიღვრები წყაროს წყალივით და გავახედლებ გამხმარ ბალახებს, ხან სიყვარულით დავიფერებები, ხან სიძულვილით ვახრჩობ კალმახებს. ხან ზეცაში ვარ, როგორც უწონო, ხან ვიძირები, როგორც ქვა წყალში, ხან ფერადია მთელი სამყარო, ხან შავი, როგორც გოდება ხმაში. ხან შემოძლია ვიყო გულქვა და ზოგჯერ მსურს ვიყო დაუნდობელიც, არ შევიწყალო, არ შევიბრალო, გავანადგურო ავის მდომელი, ზოგჯერ მინდა რომ ვიყო კეთილი და ვაპატიო ყველას ყოველი, ვაჯობო მოძღვარს სათნოებაში და სხვებისგანაც ამას მოველი. ხან ვარდის ფურცლის ნაზი ამბორი, ხანაც უხეში, გულქვა, ამაყი, ხან ტლანქი, როგორც შუშის ნაპობი. და ასე იბრძვის ორი არსება დაუნდობლად და სასტიკად ჩემში, უკან დახევა არა სჩვევიათ, თითქოს მახვილი უჭირავთ ხელში.

მიშო გაბუნია

უხეიროა

დადგება ხვალე უშენობა - როგორც ზამთარი. დადგება ჩემ წინ, გამიშვლდება კიდე-კიდედ. სულ სხვანაირი ქალია იგი, სულ სხვა სინაზით, იხდის კოლგოტს. სკამზე შემოდგამს ხოლმე ცალ ფეხს და უშფოთვლად აურქარებლად ჩაუყვება კიდურს ქუსლამდე და თან მე მიმზერს, ბაგის კუთხეზე საუკუნის შემხმარ ღიმილით. უნამო, მკვდარი თვალებიდან ნატანჯი ქალის.

მეთათხედ მიტოვებულის. ქალის უშვილო, უსაყვარლო უქმრო და ვფიქრობ, თავს ვეკითხები, მოსაფერებლად უშენობას ყავს კი კატები? უშენობასაც უშენობა ანუხებს იქნებ? ოჰ, როგორ კარგად გაუუგებდით მაშინ ერთმანეთს. მოვა ამაღამ უშენობა - როგორც ზამთარი. დადგება ჩემ წინ გამითოშავს ძვალსაც და ღბილსაც მაგრამ როგორი სიყვარულით? - ზეცამდე წრფელით

ეთერ კუნდუხაშვილი

სამკუთხაღი

დრო მიდის სადღაც უკიდევანოდ, ჩამოსწოლია ფიქრებს ნათელი, უფალო ღმერთო, გთხოვ, დამილოცე დედამინაზე ყველა ქართველი!

ჩემი სამშობლო მსოფლიოსათვის ცად-მოჭედილი ქვა-კუთხედაა; აქ აფხაზეთი, იქით ოსეთი, დღეს საქართველო სამკუთხაღია.

არ მოკლებოდეს გმირების სახელს, ჩვენი ლოცვა და წმინდა სანთელი! და ენოდეთ წმინდანთა მადლი, გამარჯვების გზა ჰქონდეთ ნათელი.

და რა იქნება მათ მომავალში, როცა მორალი მოკლეს გულეში, აღარც ღირსება შერჩათ ქართული, ოდით რომ კრთოდა ქართულ სულეში.

იქნებ გადარჩეს ლოცვა-ვედრებით იქნება აღდგეს ერი, ძლიერი, უნდა ვეცადოთ, გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო, მეტად ხნიერი.

ჩვენი სიკარგით, ჩვენი სიცუდით, სამშობლო იძენს გარკვეულ სტატუსს, ნუ დავახატებთ ქართულ ღირსებას მოლაღატეთა სამეფო ტატუს.

მთვარისა ზეინკლიშვილი

ჩაიი ფარადი მოტომბარი

კოკისპირულად რომც წვიმდეს თუნდაც, არ დავიხურავ არასდროს ქოლგას, მე ისეთი მხრის ჯიშ - ჯილაგის ვარ, ყოვლის ატანა ოდითგან მომდგამს. პირიქით მიყვარს, ვეთამაშები, წვიმასთან ერთად შედეხილ ფოთლებს, ხელის მოჩრდილვაც არ დაჭირდება, ორპირში წრფელად დანთებულ სანთლებს. ძირს დაფენილი ფოთოლთ ხალიჩა, სასიამოვნო ხეთა სურნელი, ცისარტყელის ფერში მორთული ტყე და შორს გაფანტული ფიქრი მჭმუნველი. ტურფა ნალკოტო! ღვთისგან ხელთქმნილი! ცოტა ხნით მაინც დავრჩები შენში, გავისუფთავო გული და სული, სუფთა ჰაერი ჩავღვარო ჩემში. შენ ოქტომბერო! ვერ შეგელევი, ხელით მოვხვებთ შენს ფოთლის მძივებს, ნაზად გამშრალებს წიგნში ჩავმალავ, დასალაობად კი არ მივცემ წვიმებს. კოკისპირულად რომ წვიმდეს თუნდაც, არ შევეფარვი ფოთოლთა ქოლგას, მე ისეთი მხრის ჯიშ-ჯილაგის ვარ, ყოვლის ატანა ოდითგან მომდგამს.

ნანა დარჩიაშვილი

რეპაზ მიხვალაძე

დავეძებ სიტყვებს მოსაფერებლად, იყოს ნაღდი და შენი სადარი, გულში ისე ხარ დაბურღული, როგორც ბუხარში ცხელი ლადარი.

ბედნიერი ვარ, როცა გადავშლი საგულდაგულოდ დანერულ კრებულს, შენს კარგად ყოფნას უფალს ვავედრებ, ტაძარში გლოცავ ერისკაცს, ქებულს.

მე მიყვარს შენი წიგნების კითხვა, სოფლური ეზო, ფუძე და ქერი, შენი ბადალი მწერლებით ღმერთმა ამრავლოს ჩემი ქართველი ვრი!

გაქებენ იმდენს, ჩემი ნათქვამი ოკეანეში ზღვაში წვეთია, იმას კი ვიტყვი, რომ ნოველისტი ბატონი რეზო ერთადერთია.

ეს არის სულის ამოძახილი, რაცა ვთქვი კვლავაც გავიმეორებ, აბა, ვინ მეტყვის, რომ ცისქვეშეთში ასეთი კაცი დადის მეორე.

ქართული სიტყვის დიდო ოსტატო, ისეთს რას გეტყვი, რომ გაგაოცო, აუთვალავი ნოველის ავტორს მინდა, უბრალოდ ლექსით გაკოცო!

„მწერლის გაზეთი“

„მწერლის გაზეთი“ კურთხეულია, არის სიცოცხლის წყარო, დიდება უფალს, როცა ვკითხულობ, თითქოს ცას ვწვდები, ვხარობ.

აქ ყველა გვერდი საინტერესო თემებით სავსე არის, უკიდევანოდ სულში ჩამწვდომი, რომ არ მოუჩანს ზღვარი.

ლექსებად თქმული თუ პროზაულად, არის სიმართლის მთქმელი, მე ყველა ახალ ნომრის გამოსვლას გულისფანცქალით ველი.

ჩემი გულისხმა საუფლოს წვდება, ვინც დააფუძნა ვლოცავ, სევდა შორს მიქრის გაზეთის ფურცლებს ავაშრიანებ როცა.

ვემადლიერები გაზეთის დამფუძნებელს ბატონ რევაზ მიშველაძეს, რედაქტორს ბატონ სოსო სიგუას, პასუხისმგებელ მდივანს მანანა გორგიშვილს

ნანა დარჩიაშვილი

გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, კულტურის ამაგდარი, ოქროს ორდენის მფლობელი საბავშვო პოეზიაში.

მეხვედრა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს კულტურის სახელში რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ლონისძიებზე პოეტის ლექსები წაიკითხეს: მსახიობმა გია ჯაფარიძემ, მსახიობმა და პოეტმა ელდინო სალარაძემ, ხელოვანმა ცარო მარტიაშვილმა და კულტურის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონის“ მსახიობებმა. საყვარელ პოეტს ასევე მიესალმნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მალხაზ

მერაბიშვილი, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები, პოეტის მეგობრები და ნათესავები. სიტყვით გამოვიდნენ: რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ მიშველაძე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, საღამოზე მუსიკალური ნომრები წარადგინეს ადგილობრივმა შემოქმედებებმა.

ლონისძიების პარალელურად დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ფოიეში ხელოვან ლია მაისურაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელსაც ქართული კულტურის ამაგდარის ნოდება მიენიჭა და საქართ-



ველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისგან დიპლომი გადაეცა.

2 აგვისტოს კი ელიაობისა და დედოფლისწყაროების ზეიმზე ქალბატონ მაყვალა გონაშვილს დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მას დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის ნოდება მიანიჭა.



გურამ გოგიაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ჟურნალისტიკამ, ხელოვნებამ დიდი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გურამ სოლომონის ძე გოგიაშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მრავალწინაგოვანი შემოქმედი, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია თანამედროვე სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და საკუთარი ნიშნად იმ დიდებულ, გაუზზარავ მონოლითში, რომელსაც XX-XXI საუკუნეების გზა-გასაყარის ქართული მწერლობა ჰქვია...

გურამ გოგიაშვილი დაიბადა 1934 წლის 19 ივლისს კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, რომელიც 1958 წელს დაასრულა.

უმადლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „სამშობლოს“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორის მოადგილედ. ათწლეულების განმავლობაში იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჯერ მთავარი რედაქტორი, ბოლოს კი - თანარედაქტორი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გურამ გოგიაშვილს სადაც არ უნდა ემოღვანა, ყველგან ნორმას და ნიმუშს წარმოადგენდა იმისა, თუ როგორ უნდა იყოს ჭეშმარიტი ჟურნალისტი და როგორ უნდა იცავდეს იმ დაუნერულ კოდექსს, რომლის გაუთვალისწინებლობა ყველაზე ნიჭიერ ჟურნალისტსაც კი უკარგავს სახეს და არაობად აქცევს.

გურამ გოგიაშვილის სამწერლო კურთხევა 1954 წელს შედგა, როდესაც თსუ ლიტერატურულ აღმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა მისი პირველი ორიგინალური ლექსები და სვანური ბალადების ციკლი. მას შემდეგ გურამ გოგიაშვილის ნაწარმოებები - მხატვრული

თარგმანები, ლექსები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველისთვის გურამ გოგიაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე მთარგმნელი გახლდათ, ქართული მთარგმნელობითი სკოლის აღიარებული მეტრი, რომელმაც არაერთი დიდებული თარგმანი გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა.

ანტონ ჩეხოვის „ხევში“, კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხიდა“, „ნახტომი სამხრეთისაკენ“, „ოქროს ვარდი“, ტომანოვების „სოკრატე“, მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვის კონა“, „სხვა სხეული“ და „შვიდი მომავლიანი ცოდევა“, პაულო კოელიოს „მეხუთე მთა“, „ალქიმიკოსი“, „მოგვის დღიური“, „ბრიდა“, „მაქუთები“ და „ნათლის მხედრის წიგნი“, ერაზმ როტერდამელის „შესხმა სისულელისა“, ანტუან დე სენტ-ეჟიუპერის „პატარა უფლისწული“, ნიკოლას გილიენის, რაინერ მარია რილკეს, ჟაკ პრევერის, ალექსანდრ ბლოკის, იან რაინისის, ბორის გურგულიას, გაფურ გულიამის ლექსები, ვასილ შუკშინის მოთხრობები, ჯანი როდარის „ტელეფონში მოყოლილი ზღაპრები“, ეჟი ლეცის „დაუვარცხნელი აზრები“ - აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომელთა თარგმანებს გურამ გოგიაშვილის მაღლიანი ხელი ატყვია. და მაინც, მისი მთარგმნელობითი ხელოვნების მწვერვალს დიდი ფრანგის - ფრანსუა რაბლეს სწორუპოვარი რომანი „გარგანტუა და პანტაგრუელი“ წარმოადგენს. გურამ გოგიაშვილი დიდხანს და შეუპოვრად, დაგემოვნებით თარგმნიდა მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრს, რომელიც ქართველი მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ დაემკვიდრდა და ამდენად ქართული მწერლობის საგანძურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმატებით იდგებოდა გურამ გოგიაშვილის მიერ თარგმნილი ოსტროვსკის, შუკშინის, რაბინსკის, რუსტამბეკოვის პიესები.

გურამ გოგიაშვილის თარგმანების უმთავრეს ღირსებას დედნის მასალისადმი უადრესად ფაქიზი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი სულის შეუმღვრევლად შენარჩუნება წარმოადგენდა, რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ქართული სიტყვისადმი, უნდა ითქვას, რომ ბატონი გურამი უბადლოდ ფლობდა ამ ფენომენის ყველა ნიუანსს და ამ მხრივ დიდი ივანე მაჩაბელის ღირსეულ შთამომავლად წარმოჩინდებოდა.

მკითხველი თავის დროზე ინტერესით შეხვდა გურამ გოგიაშვილის ლექსებსა და მოთხრობებს; მნიშვნელოვანი წერილები მიუძღვნა მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ანა ანტონოვსკაიას; მისი პუბლიცისტური სტატიები მუდამ საქვეყნო პრობლემების ტკივილიანი განცდით იყო დამუხტული.

გურამ გოგიაშვილის ღვაწლად და რუდუნება სამწერლო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულად დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის სახელობის მესამე ხარისხისა და ღირსების ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვუაჟ-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის სახელობის და „საგურამოს“ პრემიები.

მისი მეგობარი ქართველი მწერლები გურამ გოგიაშვილს განსაკუთრებით აფასებდნენ პრინციპულობისა და შეუვალლობისთვის. კარგად გვახსოვს, რა შეუპოვრად ებრძოდა საქართველოში დამდგარ ათწლიან ღამეს, როგორ ვერ შეძლეს საქართველოს მოძულეებმა მისი მოსყიდვა და გადაბირება.

ამიტომაც გვიჭირს მასთან გამოთხოვება, გამოთხოვება შემოქმედთან და ერისკაცთან, რომლის მრავალმხრივი, მრავალწინაგოვანი მოღვაწეობა პატივისცემისა და მონივნების გრძობით განაწყობს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების წინსვლა და განვითარება. თუმცა ის კი გვანუგუმებს, რომ სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული ერისკაცის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სამუდამოდ დარჩება მწერლობის საგანძურში და ქართველთა მთელი თაობების სულიერი განვითარების ერთ-ერთი უმშვენიერესი ორიენტირი იქნება.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მოცეკვავე, „სუხიშვილების“ ანსამბლის ოქროს თაობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი

მთარ მხიიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა მხატვარი

ნიკა ქმხვარი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

